პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ, წ. არ და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 65(858) კვირა, 6 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 6 (858)

დღიური

საბერძნეთში ხელ-ახლა დაბრუნდა ვენიზელოსი.

იტალიის პარლამენტის არჩევნები გადადებულია შემოდგომამდის.

მცირე ანტანტის კონფერენციის პროგრამაში შეტანილია რუსეთის საკითხიც.

პოლონეთში ცხოვრება [illegible] განმავლობაში სურსათ-სანოვაგე [illegible]

აპრილში ფლორენციაში (იტალია) [illegible] საერთაშორისო კონფერენცია, [illegible] მიიღებს საბჭოთა კავშირიც.

საქართველოს კომპარტიის
ტფილისის კომიტეტის პლენუმი

მოწვეულია ორშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 5 საათზე, სეკრეტარიატის ბინაზე.

ტ. კ. ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ფასების პოლიტიკა

ჩვენი დღევანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის საქმეების მოწესრიგებას. სახელმწიფო და კოოპერატიულმა ვაჭრობამ უნდა დაუკავშიროს სოფლის მომხმარებელი ქალაქის მრეწველობას. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სავაჭრო ორგანოები მოახერხებენ კერძო ვაჭრობის აპარატს გადაასწრონ სოფელში, თუ ისინი უფრო იაფ ფასებში მიაწოდებენ საქონელს მასიურ მომხმარებელს, ვინემ ამას აღწევს კერძო კაპიტალი. ამნაირათ, როგორც ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაც („ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ") აღნიშნავს, ვაჭრობის საკითხები მთელი სიმწვავით არიან წამოყენებული ჩვენი პარტიის წინაშე.

„კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ჩვენი პოზიციების გამაგრების ერთ-ერთ მთავარ პირობათ ითვლება ფასების პოლიტიკა. იტოვებს რა თავის ხელში სოფლისათვის საჭირო პროდუქტების მთავარ მასას, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა და კოოპერატივებმა ყიდდნენ საქონელს უფრო იაფად ვინემ კერძო ვაჭარი". (ცეკას რეზოლიუციიდან).

როგორ შეიძლება მოვახერხოთ, რომ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებმა და კოოპერაციამ უფრო იაფად მიაწოდონ მომხმარებელს საქონელი, ვინემ აწოდებს კერძო ვაჭარი?

საქონლის ფასის კალკულიაცია გამომდინარეობს სამი ელემენტიდან: ა) თვითღირებულების ჯამი; ბ) ზედნართი ხარჯების რაოდენობა; გ) მოგების დონე. პირველი—საქონლის დამზადების ღირებულება—დამოკიდებულია წარმოების ამა თუ იმ დარგში არსებულ ტეხნიკურ პირობებისაგან და მათი შეცვლა შესაძლებელია მრეწველობის განვითარების გზით. საქონლის საბითუმო ფასში ეს ელემენტი (თვითღირებულება) ერთი გარკვეული ოდენობით შედის, დამოუკიდებლათ იმისა არის ბითუმათ მყიდველი კერძო ვაჭარი თუ სახელმწიფო ან კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაცია. მაგრამ საქონლის ფასის შემადგენელი ორი დანარჩენი ელემენტი კი გაირჩევიან რაოდენობით იმისდამიხედვით: კერძო სავაჭრო აპარატის ხელშია გასასაღებელი საქონელი თუ სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულების განკარგულებაში. და აქ უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირათ საქონელს, ნაყიდს ერთი რომელიმე სამრეწველო დაწესებულებისაგან კერძო ვაჭრის და კოოპერაციის მიერ ერთ და იმავე ფასში, მასიურ მომხმარებელს კერძო ვაჭარი უფრო იაფათ აწვდის, ვინემ ჩვენი კოოპერაცია*).

რატომ?

ბევრმ ლაპარაკია, და სრულიათ საფუძვლიანათაც, იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო აპარატის სირთულის გამო (ძალიან ხშირათ კი გამოუცდელობის გამოც) ეგრედ წოდებული ზედნართი ხარჯები, რომელსაც აწესებენ ეს ორგანოები, ბევრათ მეტია ვინემ ასეთივე ხარჯები კერძო ვაჭრის. აქედგან შეგნებულია საჭიროება ამ ხარჯების აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანისა. გადადგმულია ნაბიჯები ამ მიმართულებით. რა კეთდება პრაქტიკულათ ჩვენ ამის შესახებ არ მოგვეპოება ჯერ კიდევ სრული ცნობები, მაგრამ რაც უკვე ვიცით და გამოქვეყნებული იყო გაზეთებში, მოწმობს იმაზე, რომ საქმე გვაქვს უკვე დამაკმაყოფილებელ მიღწევებთან.

მაგრამ საქმე არა მარტო ზედნართ ხარჯებშია. არც ერთი სავაჭრო დაწესებულება არ გაინძრევა თუ მოგება არ ნახა. საკითხავია მხოლოთ, რა პროცენტის რაოდენობით უნდა შევიდეს ეს მოგება საქონლის ფასის განსაზღვრაში. და ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი დაწესებულებები ხშირათ აჭარბებენ, დროისთვის და გარემოებისთვის არა შესაფერის გასაქანს აძლევენ თავიანთ მოგების მადას. როგორც ერთ შესანიშნავ მაგალითზე, ჩვენ მიუთითებთ მკითხველებს იმ ცნობებზე, რომელიც ქვემოთ იბეჭდება „პრესის" განყოფილებაში. იქ კითხვა შეეხება სამწუხაროთ ფუფუნების საგნათ გახდარ წიგნს. მაგრამ ბეჭდვითი საქმის ეს პროდუქტი სრულიადაც არ შეადგენს გამონაკლისს სხვა დარგის ნაწარმოებთა შორის. ასეთი თუ ისეთი მეტ-ნაკლებობით იგივე შეგვიძლია ვთქვათ სხვა საქონლებზეც. ჩვენ ამ შემთხვევაში—ისევე როგორც ბევრს სხვა რამეში—კერძო ვაჭარს ვერ წავბაძავთ. მისი მამოძრავებელი სურვილია მოგება. ჩვენი კი—ფართო [illegible] თვის მისაწვდომ ფასებში. ეს—პირველყოვლისა და უმთავრესათ. „ზომიერ და გონიერ" მოგებასაც ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს უმთავრესათ იმდენათ, რამდენადაც ეს საჭიროა მომხმარებლის ინტერესების მიხედვით, ჩვენი სავაჭრო აპარატების ეკონომიურ-საზოგადოებრივი ფუნქციის გამართლების თვალსაზრისით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ მოგების რაოდენობის მხრივ ე. ი. მისი გადიდების მხრივ ჩვენ ვერ წავბაძავთ კერძო კაპიტალს თქო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ აზრით ე. ი. მოგების გადიდების მხრივ წასაბაძავიც არაფერი აქვს მას. იმიტომ რომ ის ებრძვის სახელმწიფოს და კოოპერაციის სავაჭრო ორგანოებს და მოგების ნორმასაც მინიმუმამდე ამცირებს, რათა დასცეს ეს მეტოქეები ხშირად აღწევს კიდევაც მიზანს. თავისთავად ცხადია, რომ ბრძოლის ველზე გამარჯვებული—როდესაც ამ გამარჯვებას აქვს ადგილი—ის ერთი ასათ და ათასად ინაზღაურებს დანაკარგს და „ბრძოლის ხარჯებს".

ამნაირათ როგორც ზედნართი ხარჯების, ისე მოგების რაოდენობის განსაზღვრაში ხელისუფლებამ უშუალო თუ არაპირდაპირ მონაწილეობა უნდა მიიღოს და უკარნახოს თავისი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებს. ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს ფასების გარკვეული პოლიტიკა. ეს აუცილებელია და ამას უკვე აქვს ადგილი მთელ რიგ მნიშვნელოვან შემთხვევებში.

---

*) კერძო ვაჭარს, გარდა იმ მიზეზებისა, რომლებზეც ქვემოთ ვლაპარაკობთ, უფრო იაფათ შეუძლია გაასაღოს საქონელი კიდევ იმიტომაც, რომ ხშირათ მას უფრო ნაკლებათ უჯდება სახელმწიფო მრეწველობიდან წაღებული საქონელი, ვინემ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოებს. ეს ხდება იმიტომ, რომ უკანასკნელი ხშირათ სარგებლობს შუამავლით და მისი საშუალებით ყიდულობს სახელმწიფო მრეწველობისაგან საქონელს, ხოლო კერძო ვაჭარი კი უშუალოთ. თავისთავად ცხადია რომ შუამავალმა თავისი „საკომისიო" უნდა მიიღოს. ამ განსაცვიფრებელ „პრაქტიკას" სახელმწიფოს მრეწველობისა და გამნაწილებელ ორგანოებს შორის დღესაც აქვს ადგილი.

საფრანგეთ-გერმანიის დაძმობილებული ბურჟუაზია

რურის ოკუპაცია ისახავდა გარკვეულ მიზანს.

საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის პატრონებს, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ლორენის ლითონი, სურდათ ეშოვათ მის დასამუშავებლად იაფი და საყოფი ქვანახშირი. ეს ნახშირი იყო რურში.

ვისაც სურს გაბატონდეს ევროპაში მან უნდა შეაუღლოს, ასე ვსთქვათ, ლითონი და ნახშირი. ომამდი [illegible] ახერხებდა გერმანია, რომლის ხელში იყო რურთან ერთად ლორენიც. ომის შემდეგ საფრანგეთს ერგო ლორენი, ხოლო რური ისევ გერმანიის საზღვრებში იყო მოქცეული. საჭირო იყო მისი „განთავისუფლება" ამ საზღვრებიდან. ახალი ომის დაწყება ამ მიზნით შეუძლებელი იყო. საფრანგეთს უნდა ესარგებლა იმ ფაქტიურად საომარი მდგომარეობით, რომელიც დასტოვა ვერსალის ხელშეკრულებამ. ამ უკანასკნელის თანახმად, გერმანიას უნდა გადაეხადა კონტრიბუცია, გაეწია სარეპარაციო ხარჯები ე. ი. ხარჯები საფრანგეთის დანგრეული დეპარტამენტების შესაკეთებლად. ვინაიდან ეს ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა გერმანიას და ვერ იხდიდა მას, ამიტომ საფრანგეთმა დაიჭირა რურის ქვანახშირის რაიონი, ვითომ როგორც გირაო, რომ ამით იძულებული გაეხადა გერმანიის მთავრობა გადაეხადა ეს ვალი.

არა ერთხელ შენიშნეს საფრანგეთის მთავრობას, რომ თუ ის მართლა იმაში დაინტერესებული, რომ მალე გადაახდევინოს გერმანიას ვალი და არა სხვა რამეში—მაშინ უმჯობესია შეწყვიტოს რურის ოკუპაცია, რაც თავდაყირა ატრიალებს და ამ ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას, შლის მთელ სახალხო მეურნეობას და სრულიად უსპობს უნარს სახელმწიფოს გადაიხადოს კონტრიბუცია. თუ საფრანგეთის მთავრობა მართლა დანგრეული რაიონების შეკეთებაში დაინტერესებული და ამისთვის ესაჭიროება კონტრიბუცია—მისცეს საშუალება გერმანიას მოაწყოს თავისი შინაური ეკონომიური ცხოვრება და ამ გზით მიიღოს თავისი ხვედრი ფული. მაგრამ ეს ასე არ იყო. საფრანგეთის მთავრობა არის იმპერიალისტური. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამოძრავებს არა ხალხის ინტერესები—თუ კიდევაც მივიღებთ იმ აზრს, რომ საფრანგეთის ხალხური ინტერესები იქ ნებოდა დაცული გერმანიის მიერ სარეპარაციო ხარჯების გასწორებით—არამედ ინტერესები იმპერიალისტური ბურჟუაზიის. ასეთი არის საფრანგეთში ეგრედ წოდებული ლითონის მრეწველთა ჯგუფი და, რადგანაც მათ უსაძლიერებლათ საჭირო იყო რურის ქვანახშირი, მათ აიძულეს საფრანგეთის მთავრობა დაეკავებია რეინის მემარჯვენე ნაწილი და როგორც დაპყრობილ ადგილში საშუალება ჰქონებოდათ ეკარნახებიათ თავიანთი ნება-სურვილები რურის ქვანახშირის მეფეებისათვის.

ამნაირათ კეთდებოდა ერთი ჯგუფი იმპერიალისტების საქმე, რომელსაც ასაღებდენ საფრანგეთის ნაციონალურ საქმეთ.

ერთი წლის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც გამოიწვია გერმანიის მთელი სამეურნეო ცხოვრების აფორიაქება, საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის მეფეებმა შესძლეს გაეტეხათ წინააღმდეგობა გერმანელი ქვანახშირის მაღაროების პატრონების და, როგორც გამარჯვებულები, თავზე ახვევენ თავის ნებას დამარცხებულებს.

ხდება შეთანხმება სტინნეს-ვენდელების.

რამოდენიმე პირობებზე უკვე მოუწერიათ ხელი, როგორც ამის შესახებ იწერებიან უკვე ფრანგულ და ნემეცურ გაზეთებში. თავისთავად ცხადია, რომ პირობები ხელსაყრელი იქნება ფრანგებისთვის და უფრო ძნელი გერმანელებისთვის. და ამიტომ არის, რომ ეს უკანასკნელები ცდილობენ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებით და ათი და მეტი საათის შემოღებით აინაზღაურონ რამოდენიმეთ მაინც ის ზარალი, რომელიც მათ მიიღეს ამ ხელშეკრულებებიდან.

უკვე მიაღწიეს რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას.

ამ ბრძოლაში გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ გერმანიის მრეწველებს ზურგს უმაგრებდა საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება. ამნაირათ ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ჯერ ჯერობით საფრანგეთ-გერმანიის ბურჟუაზია და დამარცხებული გერმანიის პროლეტარიატი. ეს მოახერხეს ორივე ქვეყნის ბურჟუაზიამ გაერთიანებული ძალით. ეჭვი არ არის იმაში, რომ გამარჯვებული გერმანიაში, საფრანგეთის ბურჟუაზია კიდევ მეტ ჟიუტობას გამოიჩენს თვით საფრანგეთში. მხოლოთ ორივე ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარული ბრძოლა მოსტეხს კისერს გაერთიანებულ ბურჟუაზიას. და ამ შეთანხმებას, სოლიდარობის შეგნებას ხელს შეუწყობს საბოლოო გამოაშკარავება იმისი, თუ რა ედო სარჩულათ რურის ავანტიურას, ვის ინტერესებს ემსახურებოდა პუანკარე, როდესაც თეთრ და ყვითელ კანიან ჯარს ავზავნიდა რეინზე.

კუთხური „პატრიოტიზმის" წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გლეხობა დღეს დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის, ის მაინც ჩაბმულია ფართე საამშენებლო და კულტურულ მუშაობაში, მასში გაღვიძებულია დაუცხრომელი ლტოლვა თავის ცხოვრების უკეთ მოწყობის, კულ[illegible], და ამისათვის ის არაფერს იშურებს, არც თავის ფიზიკურ შრომას, არც ფულის გაღებას. სოფლად შენდება სკოლები, კლუბები, გაყავთ ხიდები, გზები და მრავალი სხ.

მაგრამ არის, სხვათა შორის ერთი გარემოება, რომელიც ძალიან აფერხებს მთელ ამ მუშაობას. ჩვენ ვლაპარაკობთ კუთხური „პატრიოტიზმის" შესახებ. კუთხური მიკერძოება, თავისი „ქოხის" თვალთა ედვით მიდგომა საზოგადო საკითხებისადმი, კინკლაობა ერთმანეთ შორის,—ეს ჩვენი ძველის ძველი სენია, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოებრივ საქმიანობას.

წამოიჭრება სოფელში, ამა თუ იმ რაიონში, მაგ., სკოლის აგების, გზის გაყვანის თუ სხვა საკითხი, მაშინათვე თავს წამოყოფს კუთხური ინტერესი, ყველა სცდილობს თავის ეზოსთან იქონიოს რაიმე დაწესებულება თუ სხვა რამ. ხშირად ვერ ხერხდება საზოგადოებრივ ინტერესების შეგნებამდი ამაღლება და საქმე ფუშდება. ან თუ კეთდება, არა ისე, როგორც ეს საჭიროა მთელი სოფლისათვის, მთელი საზოგადოებისათვის.

ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი.

ვინც ჩვენს გაზეთს ადევნებდა თვალ-ყურს, მას ეცოდინება, მაგ., ის დაუსრულებელი დავა, რომელიც წარმოებს ერკეთ-ეწერის (გურია) შორის საკლუბო შენობის ადგილის გარშემო.

ერკეთში, რომელიც წარმოადგენს მრავალ სოფლების ცენტრს და სადაც არის სათემო და სხვა ეკონომიურ-კულტურული დაწესებულებანი, კარგა ხანია აშენებენ სახალხო თეატრ-კლუბს. სოფ. ეწერი მდებარეობს ერკეთიდან ერთი ვერსტის მანძილზე. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეწერელებმა თავიანთ სოფელში მოიწადინეს ასეთივე თეატრ-კლუბის აგება. ერკეთისა და ეწერშორის ვერ მოხერხდა შეთანხმება საერთო ძალღონით თეატრის აშენების შესახებ ცენტრალურ ადგილას. მათ შეადგინეს ცალ-ცალკე საამშენებლო კომისიები, რომელნიც შეუდგენ სოფლად თუ ქალაქად თანხის შეგროვებას ამ საქმისათვის.

განა დასაშვებია ჩვენს პირობებში, ისიც სოფლად, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ისე საგრძნობი არ არის, ერთი-ორი ვერსის მანძილზე ორი თეატრის აშენება?

ავიღოთ იანეთის ბაქანის გარშემო ატეხილი დავიდარაბა. აქ ორი მხარე შეება ერთმანეთს: ერთს უნდოდა იანეთის ბაქანის სადგურად გამოცხადება და გადაკეთება და ამას მიაღწია კიდეც; მეორე მხარე კი იბრძოდა სადგურის ასაშენებლად იმ ადგილზე, რომელიც ცნობილია ქოსნატის სახელწოდებით და რომელიც იანეთზე ერთი ვერსტითაა დაშორებული. ჩვენ ამჟამად არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რომელი მხარეა მართალი, თუ სად ემჯობინებოდა სახელმწიფოს და ხალხის სასარგებლოდ სადგურის აშენება.

ზუგდიდის მაზრაში არის დიდი თემი—წალენჯიხა, რომელსაც ყოფს მდინარე „წყენწყარი". ამ მდინარის ერთ მხარეზე მიგდებული იყო შენობა, რომლის გადაკეთება [illegible] სათვის შესაძლებელი იყო. ნაწილი საზოგადოებისა კიდეც შეუდგა ამ საქმეს.

მდინარის მეორე მხარეზე მცხოვრებლებმა კი დაიწყეს ვეებერთელა სასკოლო შენობის აგება. შუღლი, აყალ-მაყალი თემის ამ ორ ნაწილთა შორის გრძელდებოდა თვეობით და წლობითაც კი, მაინც ვერ მოხერხდა მათი შეთანხმება.

ამავე დროს კი მდ. „წყენწყარზე" არ მოიპოვება ერთი რიგიანი ხიდი. ხის „ბეწვის" ხიდს ყოველთვის იტაცებს წყალდიდობა, და მცხოვრებნი მაშინ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ საზოგადოებას ერთი საიმედო ხიდი აეშენებია მდინარეზე, იმის მაგივრად, რომ, კუთხური თავმოყვარეობით დაბრმავებულს, არ დაექსაქსა თავისი საშუალებები და ენერგია.

დღეს ჩვენს გაზეთში, პროვინციის განყოფილებაში, იბეჭდება კორესპონდენცია ხეთის რაიონიდან (ზუგდიდის მაზრა). სოფ. თორსის მცხოვრებნი, რომელთა რიცხვი 150 მეკვამურს უდრის, ვერ შერიგებულან სასკოლო შენობის ადგილის საკითხში, გაყოფილან ორ ჯგუფად და აუშენებიათ ორი ცალკე შენობა. მასწავლებლებსაც თავიანთი ხარჯით ინახავენ ცალ-ცალკე.

და რამდენი ასეთი ფაქტებია სოფლად!

უმიზნოთ იქსაქსება ძალები და ისედაც მცირე მატერიალური რესურსები. საზოგადო საქმეების გარშემო ვნებათა-ღელვის გაღვივება, შურიანობა, ერთმანეთზე გადაკიდება,—აი რას ვხედავთ ბევრ ალაგას. და სამწუხარო ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში კუთხური პსიქოლოგიიდან ვერ განთავისუფლებულან ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებიც.

კმარა. ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ამ კუთხურ „პატრიოტიზმს". ადგილობრივმა ამხანაგებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა უნდა შეიგნონ ვიწრო კუთხური თვალსაზრისის დამღუპველობა, მათ უნდა შეიგნონ, რომ ყოველი საზოგადო საქმის წარმატებით შესრულება შეიძლება მხოლოდ „საკუთარი ქოხის" პოლიტიკის დაძლევით, ძალების და საშუალებათა გაერთიანებით. მათ უნდა შესწევდეთ ავტორიტეტი და შესაძლებლობა ამ მიმართულებით მოახდინონ შესაფერი გავლენა კუთხური პატივმოყვარეობით დაავადებულ მხარეებზე.

საზოგადო საქმიანობის შემფერხებელი, კუთხური „პატრიოტიზმის" აღმოფხვრა ჩვენი ერთ-ერთი ამოცანათაგანია სოფლად ყოველგვარი აღმშენებლობის დროს.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას

პროფკავშირების მთელი რიგი დგება ვეიმარის პლატფორმაზე

მუშების ბრძოლა; გერმანიის სხვადასხვა კუთხეების და დარგის მუშები ენერგიულად ილაშქრებენ რვა საათის სამუშაო დღის მოსპობის წინააღმდეგ.

წარმოების ზოგიერთ დარგებში დაიწყო გაფიცვები.

მწარმოებლების წინააღმდეგ: მუშები არ სთანხმდებიან მწარმოებლების პირობებზე და თავს ანებებენ მუშაობას.

კომპარტიის განცხადება: კომპარტიის ცეკამ განაცხადა, რომ ის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ნოსკეზე თავდასხმაში და საერთოდ წინააღმდეგია ტერორისტული აქტების.

ქაღალდის ზღვა: დღემდი გერმანიაში გამოშვებულია იმდენი ქაღალდის ფული, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობას.

მუშების ბრძოლა

ლითონზე მომუშავეთა გაფიცვა იზრდება.

ბერლინი. 5 იანვარი. ბერლინის ლითონზე მომუშავეთა გაფიცვა იზრდება. გაფიცულია 150,000 კაცი.

მუშათა კლასი მზად არის ხანგრძლივი ბრძოლისათვის.

ბერლინი. 3 იანვარი. შრომის სამინისტრო ჩაერია ბერლინის ლითონის წარმოებაში მომხდარ კონფლიქტში. დღეს შესდგება მწარმოებელთა კავშირის თათბირი ლითონზე მომუშავეთა პროფკავშირთან. ორმოცი სამრეწველო დაწესებულებაში სრულიად შეწყდა მუშაობა. სხვა ქარხნებში მუშები ატარებენ იტალიურ გაფიცვას. ბერლინის ლითონზე მომუშავეთა მოძრაობა, რომელიც თანდათანობით ფართე ხასიათს იღებს იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიის პროლეტარიატი მზად არის ხანგრძლივი ბრძოლისათვის.

ქიმიკოსები მხარს უჭერენ სხვა მუშებს.

ბერლინი. 3 იანვარი. ქიმიური მრეწველობის მწარმოებელთა კავშირმა [illegible] გამოაცხადა ძველი კოლექტიური ხელშეკრულება და მოითხოვა ათი საათის სამუშაო დღის შემოღება. მუშებმა უარჰყვეს ეს მოთხოვნილება.

უმუშევართა სიმტკიცე.

ბერლინი. 3 იანვარი. გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში ხდება უმუშევართა დემონსტრაციები. ვილჰელმსჰაფენში რეფორმისტული პროფკავშირების მეთაურმა უმუშევართა უმრავლესობის ოპოზიციონური სულიერი განწყობილების ზეგავლენით დასტოვა კრება.

ლეიპციგში და ცვიკაუში უმუშევართა კრებები გარეკა პოლიციამ და რეიხსვერმა.

ჰალლეში უმუშევრებმა ერთდროული დახმარების სახით მოითხოვეს შრომის ხელფასის 70 პროც.

ფეიქრები შეთანხმებლების წინააღმდეგ.

ბერლინი. 3 იანვ. ფეიქართა კავშირმა ლიმბახში გადასწყვიტა არ გაგზავნოს საწევრო გადასახადები პროფკავშირების ცენტრალურ კასაში. კავშირმა გადააყენა აგრეთვე თანამდებობებიდან სოციალ-დემოკრატები, რომელთა ნაცვლად ყველგან კომუნისტები დანიშნა.

ოპოზიცია პროფმოძრაობაში.

ბერლინი. 3 იანვ. „ფანე დერ რევოლიუციონ" („რევოლიუციის დროშა") იუწყება, რომ ოპოზიცია პროფმოძრაობაში დღითი დღე ძლიერდება. აღმოსავლეთ-პრუსიის, პომერანიის და რეინის მხარის, ვესტფალიის, ვიურტენბერგის, ბავარიის მანფელდის, ვინტენფელდის, ვიტენბერგის და ცვიკაუს სამრეწველო რაიონების თითქმის ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს რეზოლიუცია, ვეიმარის კონფერენციის დადგენილებების სასარგებლოდ.

მწარმოებლების წინააღმდეგ

პროფკავშირთა ხმა.

ბერლინი. 3 იანვარი. ქრისტიან პროფკავშირების კონფერენციამ საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო მწარმოებლების ცდების წინააღმდეგ, რომლითაც მათ უნდოდათ კრიზისის მთელი სიმძიმის მუშებზე გადატანა. რეზოლიუცია უარყოფს შესაძლებლობას გადაწყვეტილ იქნეს სამეურნეო კრიზისი მხოლოთ სამუშაო დღის გადიდების საშუალებით; რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ მუშების ჯამაგირი დაწესებულ უნდა იქნეს საქონლის ფასებთან შეფარდებით. რეზოლიუციას შეუძლებლათ მიაჩნია მოეთხოვოს დამშეულ მუშებს კვალიფიციური მუშაობა.

რურის მელითონეების პროტესტი.

ბერლინი. 3 იანვარი. რურის ლითონის დამამუშავებელ ქარხნებში მწარმოებლებმა გააკრეს განცხადება იმის შესახებ, რომ მუშაობა შეიძლება დაწყებულ იქნეს 2 იანვარს იმ პირობით, რომ შემოღებული იქნება 10 საათის სამუშაო დღე. მელითონეების მრავალრიცხოვანი მასიური კრებები კიცხავენ პროფკავშირების ბიუროკრატების გამყიდველ მოქმედებას და გამოაქვთ რეზოლიუციები 8 საათის სამუშაო დღის მტკიცედ დაცვის შესახებ.

რურის სამთო-მადნო მრეწველობაში სამუშაო დღის გადიდებისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

მბეჭდავები მოქმედობენ კომპარტიის დირექტივების მიხედვით.

ბერლინი. 3 იანვარი. შრომის სამინისტრომ უარყო პოლიგრაფიულ მრეწველობის მწარმოებელთა კავშირის მოთხოვნილება 54 საათის სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. ამის საპასუხოთ სტამბების მეპატრონეებმა დაარღვიეს სტარიფო ხელშეკრულებები. მბეჭდავთა საერთო კრებამ უარყო მწარმოებლების მოთხოვნილება და მიიღო კომუნისტების წინადადება ბერლინისა და მისი განაპირა უბნების მბეჭდავთა კრების მოწყობის შესახებ; აღნიშნულმა კრებამ უნდა განიხილოს ის ღონისძიებები რომელნიც მიღებული უნდა იქნენ მწარმოებლების წინააღმდეგ.

ტყავის მრეწველობაში.

ბერლინი. 3 იანვ. ტყავის მრეწველობის მწარმოებელთა კავშირმა უარჰყო მუშების მოთხოვნილება შრომის ხელფასის გადიდების შესახებ; მწარმოებელთა კავშირი მოითხოვს ათი საათის სამუშაო დღის შემოღებას.

ბერლინელ მელითონეების ბრძოლა.

ბერლინი. 3 იანვარი. ბერლინელ მელითონეების ბრძოლა ფართოვდება. 420 წარმოებიდან დაკეტილია 100, რადგანაც მუშებმა არ მიიღეს მწარმოებლების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ. მსხვილ წარმოებებში ხდება მელითონეების მასიური დათხოვნა. 180 000 მელითონედან უკვე დათხოვნილია 160 000 კაცი. ცალკე წარმოებებში ხდება შეტაკებები მუშებსა და ადმინისტრაციას შორის. პოლიციის საგანგებო რაზმები იცავენ [illegible] რომლის სათავეში არიან სოციალ-დემოკრატები, ვერ ეწევა აქტიურ ბრძოლას და სცდილობს შეთანხმების მიღწევას მწარმოებლებთან.

საგლეხო გაზეთების რედაქტორების თათბირი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

სოფლის კულტურულ გათვითცნობიერებისათვის და მუშების და გლეხების კავშირის გასამტკიცებლათ დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხებს შორის გაზეთის გავრცელებას. სოფლად გაზეთის გავრცელების მხრივ აქამდი ძლიერ სუსტი მუშაობა სწარმოებდა. თუ რამე კეთდებოდა, ეს მხოლოდ საგლეხო გაზეთების გამოცემის მხრივ. ახლა, არსებულ საგლეხო გაზეთების უმეტესი ნაწილის შინაარსი ვერ არის დამაკმაყოფილებელი გლეხობისათვის—გაუგებარია გლეხობის მასისათვის. მაგრამ ისიც, რაც გამოდის, სოფლად არ არის გავრცელებული. ჩვენი სოფლების უმეტესი ნაწილი სრულიად უგაზეთოდ არის მთელი თვეობით სოფელში გაზეთი არ გაჰქანდება მხოლოდ შემთხვევით თუ შეიძლება მოხვდეს ერთი ორი ნომერი, ისიც ძლიერ დაძველებული.

ეს კი ხელს უწყობს სხვადასხვა ჭორების გავრცელებას. იყო შემთხვევები, როცა ქალაქიდან მოსულს ეკითხებიან: „მართლა, ჟორდანიამ წინადადება მისცა ბოლშევიკებს სამი დღის განმავლობაში საქართველო დაცალეო?". გავრცელებულია სოფლათ აგრეთვე ეგრეთ წოდებული ანდრია სალოსის წიგნი, რომლითაც ხსნიან ამა თუ იმ ახალ ამბავს (ჭორებს).

ახლანდელი საქონლის სიძვირეს თავისებურათ ხსნიან სოფელში. მათ სრულებით არ იციან, რომ ამ უკანასკნელ დროს მიღებულია ზომები საქონლის გასაიაფებლად და რომ ფასებმაც ბევრ საქონელზე უკვე დაიწია. ამ მხრივ გლეხობისათვის კერძო ინფორმაციის მიმცემი არიან კერძო მოსიარულე ვაჭრები, რომელთათვის, რასაკვირველია, სასარგებლო იქნება ილაპარაკონ, რომ ქალაქში ყველაფერი ძვირდება.

როგორც ზევით ვთქვი, სოფლების უმეტეს ნაწილში არა თუ სისტემატიურად, არამედ შემთხვევითაც არ მიდის გაზეთები. (მხედველობაშია არა ქალაქებთან და რკინისგზის ახლო მდებარე სოფლები). იქ, სადაც მიდის, გლეხობისათვის სრულიად გაუგებარი არის და საქმის მდგომარეობის გაშუქების მაგივრად უფრო აბნევს მათ.

ასეთივე მდგომარეობა არის არა მარტო საქართველოს სოფლებში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. რუსეთის გლეხების გაზეთების ტირაჟი მთელ პრესასთან შედარებით უდრის მხოლოდ 8 პროცენტს. აქ საერთოდ საგლეხო გაზეთები სუსტი არიან, როგორც გავრცელების, ისე შინაარსის მხრივ. მხოლოდ ზოგიერთი გუბერნიები შეადგენენ გამონაკლისს და საგლეხო გაზეთების გავრცელების მხრივ კარგათ აქვთ დაყენებული საქმე. მაგალითად, ეკატერინობურგის საგლეხო გაზეთი გამოდის 24 ათასი ეგზემპლიარი და გავრცელებულია ამ გუბერნიის ყველა სოფლებში—ყოველ 10—15 ოჯახზე ერთი ცალი გაზეთი მოდის. ამ გაზეთის ასეთი გავრცელება აიხსნება მისი შინაარსის დაყენებით—იბეჭდება გლეხების მრავალი წერილები.

მოსკოვში დაიწყო სპეციალური საგლეხო გაზეთის „Крестьянская газета"ს გამოცემა, „ბედნოტას" გარდა, „ბედნოტა" ცნობილი იყო სოფლის მოწინავე ელემენტების გაზეთად. ეს ახალი გაზეთი კი იქნება თავის შინაარსით ფრიად პოპულიარული და გლეხების მასისათვის გასაგები.

აღსანიშნავია ამხ. ტროცკის აზრი საგლეხო გაზეთის შესახებ. ის სთვლის საჭიროთ ისეთ საგლეხო გაზეთებს, რომელთაც დასახული აქვთ მიზნად არა სწავლება და არა მოწოდება, არამედ მოყოლა იმ ამბების, რომელიც ხდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში და მის გარეშე, განსაკუთრებით ისეთების, რომელნიც ახლო ეხებიან გლეხს და მის მეურნეობას.

საგლეხო გაზეთების გამოცემის გამოცდილების გასასინჯავად და იმისდამიხედვით მომავალი მუშაობის გზების გასაკვლევათ, მოწვეული იყო მოსკოვში საგლეხო გაზეთების რედაქტორების თათბირი. რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ თათბირი მივიდა შემდეგ დასკვნებამდე:

დიდია საგლეხო პრესის კულტურული-პოლიტიკური როლი. ის უნდა გაუმჯობესდეს და მომავალ გაზაფხულამდი ავიდეს 800 ათას ეგზემპლიარამდი, 1925 წლის გაზაფხულისათვის ეს ციფრი უნდა გაიზარდოს ორ მილიონამდი. ყოველ ათი გლეხის ოჯახს უნდა ხვდებოდეს ერთი ცალი გაზეთი. საგლეხო გაზეთები უნდა [illegible] იაფი (თვეში 10 გირვანქა ჭვავის ფასად) და პოპულიარული. უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს აგრონომიულ პროპაგანდას. საკმაოთ უნდა იქნეს გაშუქებული გასაგებ ფორმებში საზღვარ-გარეთელ გლეხების ცხოვრება, საგლეხო გაზეთების ენა უნდა გამოკეთდეს; არ უნდა ქონდეს ადგილი შემოკლებულ სიტყვებს და ამასთანავე უნდა ვერიდოთ გლეხური გამოთქმების ფალსიფიკაციას. ნამდვილი გლეხური ენის დასაცავათ უნდა მიზიდული იქნან თანამშრომლებათ გლეხები და მათი წერილები უნდა იქნან მაქსიმალურათ გამოყენებული.

სოფლის კორესპონდენტები არიან საგლეხო გაზეთების ძირითადი დამყრდნობი ძალა. მათ ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი სოფლის ცხოვრებას—სხვადასხვა ბოროტმოქმედებებს, სამეურნეო ფორმების გაუმჯობესების და სოფლის კულტურის დონის აწევის საკითხებს. ამასთანავე მათ ევალებათ გაზეთის გავრცელება, ხმამაღლა კითხვის ჯგუფის მოწყობა და სხვა.

სოფლად გაზეთის გავრცელებაში უნდა გამოყენებული იქნან სოფლის მასწავლებელნი; მუშები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ სოფელთან, წითელ-არმიელები, პარტიული ორგანოები, კომუნ. ახალგაზ. კავშირის წევრები, კოოპერაცია, შეფები და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელში გაზეთის წამკითხველებს (чтецы) ყოველ სოფელში უნდა დანიშნული იქნას რამოდენიმე წამკითხველი, რომელიც რეგულიარულად წაუკითხავს მოსულ გაზეთს გლეხების განსაზღვრულ ჯგუფს. მკითხველებათ უნდა გამოყენებული იქნან სოფლელი კორესპონდენტებიც. მკითხველებს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიულმა და პოლიტიკური განათლების ორგანოებმა.

საგლეხო გაზეთის გასაიაფებლად უნდა იქნეს მიღებული ზომები სუბსიდიების გაცემით, ადგილობრივი ორგანოების მიერ დახმარების (ბიუჯეტში შეტანით) გაწევით; უნდა გადაცემული იქნას გაზეთის ხელში სტამბები. გაზეთის თვიური ხელმოწერის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 10—15 გირვანქა ქერის ფასს. სადაც მოსახერხებელი იქნება, იქ ხელმოსაწერი ფასი უნდა ნატურით მიიღონ.

ნ. გ.

მოსკოვი, 25 დეკემბერი.

პრესა

გადაჭარბებული მოგება თუ მომხმარებლის ინტერესი

ასეთი სათაურით: „პროლეტარიატის სულიერი განათლება"—მოსკოვის „პრავდა"-ში მოთავსებულია საინტერესო წერილი, რომელიც ახასიათებს რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობას.

ამხ. ლარინი, რომელიც ემყარება „მოსკოვის პოლიგრაფის" მასალებზე, ააშკარავებს სახელმწიფო გამომცემლობის პირდაპირ დანაშაულებრივ „მეთოდს" გამოცემული წიგნების ფასების განსაზღვრაში და მოჰყავს რამდენიმე საინტერესო ნიმუში კალკულიაციისა.

მაგალითად გამოიცა ლენინის მეექვსე ტომი. იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ამხ. ლენინის ნაწერებს, ქაღალდის ტრესტმა სახგამომცემლობას დაუთმო ქაღალდი ათი პროცენტის დაკლებით, პოლიგრაფმა 20 პროცენტით ნაკლები ანგარიში წარუდგინა. ბოლოს და ბოლოს თვითღირებულება თითო წიგნს უდრის ნამდვილად 1. მან. და 24 კაპიკ ოქროთი. ხოლო გამომცემლობამ წიგნს დაადო ფასად 8 მ. 50 კაპ. ოქროთი. ე. ი. 860 პროცენტით მეტი მოგება—ვინემ წიგნის თვითღირებულება.

იგივე მოხდა მარქსის პირველ ტომზე. თითო წიგნი სახელმწიფო გამომცემლობას უდრის 23 მან. და 10 კაპ. 23 წლის ფულის ნიშნებით. ხოლო ყიდის 118 მანეთად ამავე წლის ფულის ნიშნებით. მოგება უდრის 500 პროცენტს.

„როდესაც—ამბობს ამხ. ლარინი—სასწავლებელში მოხვედრილი მუშა თავის მცირე სტიპენდიას—უკეთესათ რომ ვსთქვათ, თავის სადილს—აკლებს და ყიდულობს მარქსის წიგნს, თითო გადახდილი მანეთიდან მხოლოთ 20 კაპიკი მიდის წიგნზე. დანარჩენი 80 კაპიკი რჩება მოგებათ სახელმწიფო გამომცემლობას".

ამხ. ლარინის მიერ მოყვანილი ციფრები დამაფიქრებელია.

ჩვენ ამ ჟამათ ხელთ არა გვაქვს ადგილობრივი წიგნების გამომცემლობათა კალკულიაცია და ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ ის, რაც ამხ. ლარინმა გამოააშკარავა სახელმწიფო გამომცემლობის დარგში, დამახასიათებელია ბევრი ჩვენი „ხაზიაისტვენიკებისთვის".

ამხ. ლარინი წინადადებას იძლევა, რათა მთავრობა ჩაერიოს საქმეში და შეზღუდოს „ზედნადები" ხარჯები, გარდა ამისა გააუქმოს სახელმწიფო გამომცემლობის მონოპოლია. ეს საჭირო შეიქნა, მაგრამ ალბათ აუცილებელი იქნება ასეთივე ჩარევა სხვა დარგებშიც, საზოგადოთ მრეწველობის პროდუქტების ფასების განსაზღვრაში.

ბოლოს და ბოლოს კითხვა მკაფიოთ სდგას, ან გადამეტებული მოგება სამეურნეო ორგანოების ან ფართო მომხმარებლის ინტერესები.

ამ კითხვას ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით სხვა თემასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევრები მტკიცედ არიან.

ბერლინი. 3 იანვარი. ეილენბურგის მუშებმა მწარმოებლებს უარი უთხრეს მუშაობის დაწყებაზე შემცირებულ სამუშაო ხელფასით და დასტოვეს წარმოებები ინტერნაციონალის სიმღერით. ანესბერგის უმუშევრებმა უარყვეს მწარმოებლების წინადადება მუშაობის დაწყების შესახებ, თუ ძალაში დარჩება 10 საათის სამუშაო დღე, მიუხედავათ იმისა, რომ მწარმოებლებმა აღუთქვეს მათ მთელი წლით სამუშაოს მიცემა, თუ უმუშევრები გამოვიდოდენ პროფკავშირებიდან.

კომპარტიის განცხადება

ნოსკეს წინააღმდეგ.

ბერლინი. 3 იანვარი. გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მტკიცება შეთქმულების მოწყობაში კომპარტიის ცეკას მონაწილეობისა არის უმზგავსო სიცრუე, რადგანაც კომპარტია მუდამ ილაშქრებოდა ტერორის წინააღმდეგ. მაგრამ გასაკვირი არ არის, თუ იმედგაცრუებული მუშები სიძულვილს იჩენენ ნოსკესადმი, რომლის ბრძანებით დახვრეტილ იქნა 15,000 რევოლიუციონერი მუშა.

პროფკავშირების მდგომარეობა

ნდობა დაკარგეს.

ბერლინი. 3 იანვარი. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ორგანოს „კორესპონდენტბლადტ“-ის ნაცვლად, რომელიც დახურეს, გამოვა გაზეთი „გევერგშაფტ ცაიტუნგ“.

კომუნისტების აგიტაციის ზეგავლენით შეწყდა მუშების მასიური გამოსვლა პროფკავშირებიდან. საზღვარ-გარეთიდან მიღებული დახმარების და საწევრო გადასახადების მტკიცე ვალიუტით შემოტანის წყალობით პროფკავშირების ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

„ფორვერტს“-ში მოთავსებულ წერილში პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ლეიპარტი ხაზს უსვამს პროფკავშირების მდგომარეობის გაუმჯობესებას და აღიარებს, რომ **მუშათა ფართე მასებს უკვე აღარა აქვთ პროფკავშირების მეთაურების ნდობა.** გერმანიის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს. სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთა კავშირი კი მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატიულ ოპოზიციას.

ქაღალდის ზღვა

გამოშვებულ ფულის ნიშნების რაოდენობა.

ბერლინი 3 იანვარი. გერმანიის სახელმწიფო ბანკის ნოემბრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოშვებული ფულის ნიშნების საერთო რაოდენობა აღწევს 400 კვადრილიონ ქაღალდის მარკამდე. ანგარიში ხაზს უსვამს, რომ 15 ნოემბერს შეწყვეტილია ფულის ნიშნების ბეჭდვა სახელმწიფოს საჭიროებისათვის. კერძო მეურნეობის მიზნებისათვის ფულის ნიშნების ბეჭდვა გრძელდებოდა 10 დეკემბრამდე. გამოშვების საგრძნობლად შემცირების და წვრილი ფულის ნიშნების მოსპობის შემდეგ 15 დეკემბერს ხმარებაში იყო სულ 258 კვადრილიონი მარკა.

კომუნისტების დევნა

ხარბიელობენ შეთხზვით.

ბერლინი. 3 იანვ. ჰანოვერში დააპატიმრეს 20 კომუნისტი, რომელთაც ბრალად სდებენ ნოსკეს სახლის აფეთქების მოწყობას. მათ აბრალებენ აგრეთვე მთავრობის ზოგიერთი დაწესებულებების აფეთქების განზრახვას.

არალეგალური სტამბის აღმოჩენა.

ბერლინი, 3 იანვარი. ცვიკაუში აღმოაჩინეს არალეგალური კომუნისტური სტამბა.

სოციალ-დემოკრატების „მოლაპარაკება“

მოლაპარაკება დიდი კოალიციის მთავრობის შესახებ.

ბერლინი. 3 იანვარი. საქსონიაში გრძელდება სოციალ-დემოკრატების მოლაპარაკება დემოკრატებთან და სახალხო პარტიასთან დიდი კოალიციის მთავრობის შექმნის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დრეზდენის ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრებამ 200 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 70-სა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია დიდი კოალიციის მთავრობის შექმნის წინააღმდეგ და მოითხოვა ლანდტაგის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა.

ბერლინი. 3 იანვ. საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა შეუდგეს დიდი კოალიციის მთავრობის შედგენას, პარტეიტაგის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

დღეს მოხდება პრემიერის არჩევა.

საერთო მდგომარეობა

საქსონიის ახალი მთავრობა.

ბერლინი. 5 იანვ. საქსონიის ახალი კაბინეტის თავმჯდომარეთ არჩეულია სოციალ დემოკრატი მელდტი. დღეს ახალი მთავრობა წარუდგება ლანდტაგს.

ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკი

ბერლინი. 3 იანვ. ტიურინგიის ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკში შეიიდენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები, მათ შორის ტევტონთა ნაციონალისტები (ფაშისტები) და ახალგაზრდა გერმანელთა ორდენი.

დაკავებულ ოლქების გერმანიიდან გამოყოფის პროპაგანდა.

ბერლინი. 3 იანვარი. შტრეზემანის გაზეთ „ცაიტ“-ში მოთავსებულ წერილში შინაგან საქმეთა მინისტრი იარესი, რომელიც იცავს გერმანიის ოკუპაციაქმნილ ოლქების გერმანიიდან გამოყოფის იდეას, გერმანიის დაუკავებელ ნაწილში მთელი ძალების დაგროვების მიზნით, აღნიშნავს, რომ—სანამ ეს პოლიტიკა არ იქნება გატარებული— დაკავებულ ოლქებს შეუძლიათ ეხლავე მოსთხოვონ დანარჩენ გერმანიას მატერიალური და მორალური დახმარება. იარესი ხაზს უსვამს ოკუპაციის ხარჯების სავსებით დაფარვის შეუძლებლობას და აღნიშნავს, რომ გერმანია უნდა განთავისუფლდეს აუტანელი უღლისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია სარეპარაციო მიწოდების გაგრძელება.

მარკის კურსის დაცემა.

ბერლინი. 3 იანვარი. მარკის კურსი დაეცა გერმანიაში და საზღვარგარეთ. ლონდონში გირ. სტერლ. 18 ტრილიონ მარკიდან ავიდა 23 ტრილიონამდე. რეინის მრეწველები განაგრძობენ უცხო ვალიუტის შესყიდვას. ბირჟის წრეები ფიქრობენ, რომ მარკის კურსის დაცემა გავლენას მოახდენს რეიხსბანკის მიერ ამერიკაში 80 მილ. ოქროს მარკის გაგზავნაზე. ბერლინში მარკის ოფიციალური კურსი არ შეცვლილა. დოლარი ღირს 4 ტრილ. მარკაზე მეტი.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს მთელ რიგ კონფერენციაში.

ჩეხო-სლოვაკიაში: აგრარული პარტიის ცენტრალური ორგანო სწერს, რომ უკვე დაიმსხვრა იმედები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში მოხდება გადატრიალება ან საბჭოთა მთავრობა ჩამოგდებულ იქნება ინტერვენციის საშუალებითო.

პოლონეთში: პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ განაცხადა, რომ აუცილებელი და საჭიროა საბჭოთა კავშირთან აღდგენილ იქნას ეკონომიური კავშირი ურთიერთ თანამშრომლობის ნიადაგზეო.

საფრანგეთში: მსხვილი მრეწველები აცხადებენ, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი სავსებით მომხრეა აღდგენილ იქნას საბჭოთა კავშირთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობაო. მათ იმედი აქვთ, რომ ეს მოხდება ახლო მომავალში.

ამერიკაში

იუზმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკა.

ნიუ-იორკი. 3 იანვარი. სენატორი ლოჯი ორშაბათს სენატში წარმოსთქვამს სიტყვას იუზის დასაცავად. გაზეთებმა განაახლეს იუზზე თავდასხმანი. გაზეთები მოითხოვენ ამხ. ზინოვიევის ინსტრუქციების სინამდვილის დამტკიცებას. გაზეთები სწერენ: „აწერს რა რუსეთის მთავრობას ამერიკის შეერთებულ შტატების წინააღმდეგ პროპაგანდის გაწევას, იუზი უარს ამბობს იმ დოკუმენტების სინამდვილის დამტკიცებაზე, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა უარყოფს. იუზს, როგორც გამოჩენილ კანონების მცოდნეს არ უნდა ჩაეყენებია თავისი ქვეყანა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. იუზი უნდა გადადგეს და ხალხის ინტერესების დაცვა უნდა მიანდოს სხვა პირებს“.

პოლონეთში

საბჭოთა კავშირთან დაახლოვების აუცილებლობა.

ვარშავა 3 იანვარი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პოლონეთში ობოლენსკი მიიღო პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ. ბარათის გადაცემის შემდეგ ვოიცეხოვსკიმ იქონია ობოლენსკისთან ხანგრძლივი საუბარი, რომელშიაც მან აღნიშნა ორივე ქვეყნის შორის ეკონომიური დაახლოვების და სამეურნეო თანამშრომლობის აუცილებლობა.

საფრანგეთში

საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა.

პარიზი. 3 იანვარი. გაზ. „ტანმა“ გამოაქვეყნა მოსკოვის კორესპონდენტის როლლენის ცნობა ამხ. ჩიჩერინის საუბრის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან; საუბარი შეეხებოდა საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ წრეებში შემჩნეულია რამდენიმე მიმდინარეობა, რომლებიც სხვადასხვანაირად აფასებენ საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების შესაძლებლობას. ეს აიხსნება საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადების უქონლობით.

სავსებით მომხრეა საბჭოთა კავშირთან კავშირის განახლების.

პარიზი. 3 იანვარი. საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე — დიდმა მრეწველმა შევილიემ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი სავსებით მომხრეა საბჭოთა რუსეთთან კავშირის დაჭერის. შევილიემ აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა სცდილობს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის აღდგენას, და რომ ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია სასურველი შედეგები. შევილიემ ხაზი გაუსვა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობას და განაცხადა: „მე იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში მიღწეული იქნება საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება, ვინაიდან საფრანგეთი ილტვის ასეთ შეთანხმებისაკენ“.

რუმინეთში.

რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის გამო.

ვენა. 3 იანვარი. ლიბერალურ პარტიის წევრმა კოჰმა მოითხოვა რუმინეთის პარლამენტში, რათა რუსეთ-რუმინეთის კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნას მოთხოვნილება ყირიმში რუმინეთის ქვეშევრდომებისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ აღუთქვა დააყენოს ეს საკითხი კონფერენციაზე.

ჩეხო-სლოვაკიაში:

იმედის გაცრუება.

პრაგა. 3 იანვარი. აგრარიუმის ცენტრალური ორგანო „ვენკოვ“-ი, რომელიც დღემდე არ ღებულობდა მონაწილეობას საბჭოთა რუსეთთან სრული ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლო კომპანიაში, სწერს წერილს, რომელშიაც ხაზს უსვამს იმედის გაცრუების ინტერვენციაზე და საბჭოთა კავშირის შიგნით გადატრიალების მოხდენაზე. წერილში აღნიშნულია, რომ ამჟამად ევროპის ყველა დიპლომატები ცდილობენ ურთიერთობის დაჭერას მოსკოვთან და რომ დროა ჩეხო სლოვაკიაც დაუახლოვდეს რუსეთს.

ლატვიაში.

სამი კონფერენცია.

რიგა. 3 იანვარი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ლატვიის პრემიერმა მეიეროვიცმა განაცხადა, რომ ლატვია მიიღებს მონაწილეობას 3 კონფერენციაზე, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირი და ბალტიის ზღვის სანაპირო 5 სახელმწიფო. კონფერენციაზე განხილული იქნება საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული საკითხები: ხელშეკრულების დადების, ნეიტრალიტეტის, გარანტიების, საზღვრების და ტრანზიტის თავისუფლების შესახებ.

ვარშავის კონფერენციამ პოლონეთის, ლატვის, ფინეთის და ესტონეთის მონაწილეობით უნდა შეათანხმოს ბალტიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა.

კოვნოს კონფერენციის შედეგებს, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, მეიეროვიცი პესიმისტურად უცქერის, ვინაიდან დღეს ლიტვასა და ლატვიას შორის შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიური დაახლოვება.

საფრანგეთის ინტრიგები

თავისას არ იშლიან.

სტოკჰოლმი. 3 იანვარი. საფრანგეთის ელჩმა შვეციაში დელავომ საფრანგეთში გამგზავრების წინ განაცხადა, რომ მისი აზრით, შვეციამ არ უნდა დასდოს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან. „სტოკჰოლმს ტიდნინგენ“-ი, თუმცაღა ილაშქრებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ შვეციისათვის ხელსაყრელია საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობა.

თეთრგვარდიელების თავხედობა

ჩინეთი

ვლადივოსტოკი. 3 იანვარი. გემი „ლენინი“, ყოფ. „სიბირსკი“, ვლადივოსტოკიდან მიდიოდა ოდესაში; გზაში შეუხვია შანხაიში. ვინმე კაპიტანმა ლეიზერგმა, ძველი მოხალისე ფლოტის მოსამსახურე, შერეულ სასამართლოში წარადგინა საჩივარი მოხალისე ფლოტის წინააღმდეგ და მოითხოვა გემ „ლენინი“-ს დატუსაღება. გაიგო რა ამის შესახებ სრულუფლებიან წარმომადგენელის რწმუნებულმა განუცხადა შერეულ სასამართლოს წინასწარ თათბირს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გემი დატუსაღებული იქნება, მაშინ საბჭოთა მთავრობა სათანადო ზომებს მიიღებს უცხო სახელმწიფოების იმ გემების წინააღმდეგ, რომელნიც საბჭოთა ნავთსადგურებში იმყოფებიან. ამ განცხადებამ, როგორც ჩანს, იმოქმედა შერეულ სასამართლოზე, რომელმაც აღარ გაარჩია თეთრგვარდიელების მიერ შეთხზული საქმე.

მთლიანი ფრონტისათვის

სენის დეპარტამენტის პროფკავშირების კონგრესი.

პარიზი. 3 იანვარი. სენის დეპარტამენტის პროფკავშირების კონგრესმა ერთხმად მხარი დაუჭირა მუშათა მთლიან ფრონტის შექმნას და წინადადება მისცა სენის დეპარტამენტის უნიტარულ კონფედერაციას შეუთანხმდეს გენერალურ ფედერაციას შერეულ კომიტეტის დაარსების შესახებ, რათა აღდგენილ იქნას პროფმოძრაობის მთლიანობა.

კონგრესმა უარყო წინადადება პროფკავშირების ორგანიულ კავშირის საშუალებით მთლიანობის აღდგენის შესახებ.

მდგომარეობა საბერძნეთში

ვენიზელოსი ათენაში.

ბერლინი. 5 იანვარი. ვენიზელოსი ჩავიდა ათენაში.

ათენაში ჩასვლის შემდეგ მას თათბირი ჰქონდა პოლიტიკურ პარტიების [illegible] რის დროს ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ის დარჩება საბერძნეთში სადაო საკითხების მოგვარებამდი.

ვენიზელოსმა ინახულა რეგენტი და თათბირი ჰქონდა პოლიტიკურ [illegible]

სხვადასხვა

შვეცია

ცენტრალურ პროფორგანიზაციის 25 წლის თავი.

სტოკჰოლმი, 3 იანვარი. 1 იანვარს გადახდილ იქნა შვეციის ცენტრალურ პროფორგანიზაციის 25 წლის თავი 305 კაცის მონაწილეობით. ბანკეტზე დაესწრნენ უცხოელები, მათ შორის საფრანგეთის საყოველთაო შრომის კონფედერაციის მდივანი ჟუო. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბრანტინგმა.

რუმინეთი

დასამტკიცებელ საბუთების უქონლობის გამო

ვენა. 3 იანვარი. რუმინეთის კომუნისტები ლიბლიხი და ფილდიპესკუ, რომელთაც ბრალად ედებოდათ ჯაშუშობა, განთავისუფლებულ იქნენ დასამტკიცებელ საბუთების უქონლობის გამო.

სამხრეთ-სლავია.

რა მოხდება 1924 წელში

პრაგა, 3 იანვარი. ბენეში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ სწერს: „**1924 წელი მოიტანს საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობას. საეჭვოა, რომ ამ წელში გადაწყდეს სარეპარაციო საკითხი, გაძლიერდება პარლამენტარიზმის კრიზისი. ინგლისში ძალაუფლებას აიღებს მუშათა პარტია.** თუგინდ მუშათა პარტია დიდხანს არ დარჩეს სახელმწიფოს სათავეში, მისი დროებითი მმართველობაც უდიდეს გავლენას მოახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე“.

საბერძნეთი

ახალი სამინისტრო.

პარიზი. 4 იანვარი. დღეს ღამით ელიან ვენიზელოსის ჩასვლას ათინაში. ახალი კაბინეტი შედგენილი იქნება დაუყოვნებლივ მისი ჩასვლის შემდეგ.

ფინეთი.

ისევ დააპატიმრეს.

ჰელსინგფორსი. 3 იანვარი, ფინეთის სეიმის მიერ გამართლებული ორი კომუნისტი, რომელთაც ბრალად ედებოდათ კომინტერნის 2-ე კონგრესში მონაწილეობა, განთავისუფლებულ იქნენ და ერთი დღის შემდეგ ხელახლა დააპატიმრეს.

ნეიტრალური პოზიცია.

ჰელსინგფორსი. 2 იანვარი. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შვედური გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ფინეთი, ევროპაში **მერყევი მდგომარეობის გამო, ცდილობს დაიცვას ნეიტრალიტეტი. ვენნოლამ ხაზი გაუსვა, რომ ბალტიის მხარის ანტანტის შექმნა დიდ დაბრკოლებებს ხვდება, ვინაიდან ბალტიის მხარის სახელმწიფოებს შორის ინტერესთა დიდი წინააღმდეგობაა. თვით ფინეთში თავდაცვითი კავშირის შექმნას საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად აფასებს.**

იანვარში ფინეთი მონაწილეობას მიიღებს ბალტიის მხარის სახელმწიფოების კონფერენციაში

ვენნოლამ განაცხადა, რომ ფინეთი კარელიის საკითხს საერთაშორისო უფლებრივ საკითხად სთვლის, მაგრამ არავითარ აგრესიულ მიზნებს არ [illegible]

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

4 იანვარს, საღამოს 6 საათზე 20 წუთზე სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიხსნა ამიერ.-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა ცხაკაია, რომელმაც გახსნა ყრილობა, მოკლეთ შეეხო ამ. კავ. ცენტ. აღმასკომის მუშაობას და ამ მუშაობის პირობებს. სიტყვის დასასრულს იგი უსურვებს ყრილობას საქმისადმი მტკიცე ნებისყოფის გამოჩენას, რაც აუცილებელია ყრილობის წინაშე წამოყენებულ რთულ კითხვების გადასაწყვეტად.

პრეზიდიუმის არჩევა.

ამხ. ტალიბლის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულნი არიან ამხ. ამხ. აზიზბეკოვი, აგა-მალი ოღლი, ამბარცუმიანი, ბუნიატზადე, ვრაჩევი, გეგეჭკორი, ჰუსეინოვი, მირზა-დავუტი. ჯატიევი, ეგოროვი, ესაიანი, კიროვი, კახიანი, ქართველიშვილი, კუზნეცოვი, კონუშკინი, კარაკოზოვი, ყაზარიანი, ლუკაშინი, ლაკობა, ლომინაძე, მირზოიანი, მახარაძე, მუსაბეგოვი, მიასნიკოვი, მოწყობილი, მაცკევიჩი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი., ოსეფიანი, სტურუა ვ., სუხიშვილი, სემკოვი, ტაიროვი, ხაიმულალოვი, მ. ცხაკაია და ჩაპლინი.

ყრილობის საპატიო წევრებათ ამხ. ამხ. ლენინი, კალინინი, ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, კამენევი, კ. ცეტკინი და კაშენი, **სამდივნოში** ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. გუტინს, მამულიას, კუსტამ ბეილის, ტალიბლის, ტაშიანს, სვანიძეს და შეჩუკმინს.

სამანდატო კომისიაში ამხ ამხ. ივანოვ-კავკაზსკის, შავერდოვს, მამიკონიანს, ქურდაძეს, პარფიონოვს, შაბანოვს, ჰუსეინ და რახმან ყასიმოვს.

სარედაქციო კომისიაში ამხანაგები: ლორთქიფანიძეს, ჩაგინს, ბაკუნცს, კიკნაძეს, ჯატიევს, კარონინს და ოლიმბიდოვს.

რეგლამენტის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, ყრილობა იწყებს დღის წესრიგის მიხედვით მოხსენებათა მოსმენას.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა მთავრობის ანგარიში.

(მომხსენებელი ამხ. მამია ორახელაშვილი).

ამ.-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოა, მაგრამ 11 თვის მისმა არსებობამ სავსებით ცხადჰყო და გაამართლა მისი მიზანშეწონილობა.

მთავრობას უხდებოდა მოქმედება უმთავრესად ორი მიმართულებით: ურთიერთობის მოგვარება გარეშე სახელმწიფოებთან და სახელმწიფოებრივ მუშაობის წარმოება შიგნით.

საგარეო პოლიტიკა.

ვიდრე ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნებოდა, საქართველოში განაგრძობდნენ მოქმედებას უცხო სახელმწიფოთა კონსულები, რომელნიც აშკარა ჯაშუშობას ეწეოდენ. მათ საქარ. რევ. კ.-მის № 64 დეკრეტით დიდი შეღავათები ჰქონდათ მინიჭებული. როცა ა | კავკასიის მთავრობამ უცხოეთის ყველა წარმომადგენლებს მოსთხოვა მათაც გაეტარებიათ „მაგიერობის“ პრინციპი, ე. ი. ისეთივე შეღავათებით აღეჭურვა, ჩვენი წარმომადგენლები თავიანთი ქვეყნებში, მათ იწყეს აქედან მასიური გასვლა.

ზოგიერთი სახელმწიფო დათანხმდა „მაგიერობის“ პრინციპზე და ჩვენ მათ მიმართ ნორმალური ურთიერთობა აღვადგინეთ, მათ შორის პირველი ადგილი უკავია ოსმალეთს რომელთანაც ა | კ. ფედ. რესპუბლიკას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გამო აღძრულ მცირე კონფლიქტს, მეტად კეთილ-მეზობლური განწყობილება ჰქონდა სპარსეთთან და დავიწყეთ სავაჭრო ურთიერთობის განახლება, რომელიც თეგერანის ხელშეკრულებით უნდა დასრულებულიყო, რომ ინგლისის აგრესიულ პოლიტიკას საქმე არ შეეფერხებია.

ანტანტის სახელმწიფოებში, ყველაზე ასე თუ ისე წესიერი ურთიერთობა გვაქვს იტალიასთან, რომელთანაც საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება სხვადასხვა ხელშეკრულების დადებით თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება.

საგარეო ვაჭრობა

ჩვენი საგარეო ვაჭრობის საფუძველი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაა, რომელმაც დიდი ნაყოფი მოგვცა. 1922 წლამდე ჩვენ ვეჭვემდებარებოდით უცხოეთის ბაზარს, საიდანაც შემოგვქონდა უმთავრესად სურსათ-სანოვაგე; 1923 წელს ჩვენ დიდათ შევამცირეთ საქონლის შემოზიდვა უცხოეთის ბაზრიდან, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენი მეურნეობა გაიზარდა და განმტკიცდა. ამ ჟამად საბჭოთა კავშირის ბაზარი აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. 1923 წელს საქონლის გაზიდვა სამი მილიონი ოქროთი სჭარბობს შემოზიდვას, რომელიც წინა წლებში უმთავრესად განისაზღვრებოდა სურსათ სანოვაგით და მანუფაქტურით. დღეს დასავლეთიდან შემოგვაქვს ლითონის ნაწარმოები, რაც აუცილებელია რკინის მრეწველობისათვის.

ფინანსიური მდგომარეობა

ა.-კ. რესპუბლიკის პირველი ამოცანა იყო ფულის და ფინანსიური სისტემის მოწესრიგება და გაერთიანება. მიუხედავათ იმისა, რომ ერთიანი ბიუჯეტის, ფინანსების და გადასახადების სისტემის შემოღება რთული საკითხია, ფულის სისტემათა გაერთიანება წარმატებით დასრულდა, რამაც აღორძინების გზაზე დააყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრება.

ფულის სისტემის გაერთიანების შემდეგ თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ა | კ. რესპუბლიკებმა უფრო მეტი თანხების გაღება დაიწყეს, ვიდრე ეს ხდებოდა გაერთიანებამდე, ეს იმის შედეგია, რომ სიმდიდრემ და დოვლათმა იმატა და ფინანსიური რესურსები გაიზარდა.

ფინანსიურ საქმის მოწესრიგებამ ა | კ. სახ. კომ. საბჭოს საშუალება მისცა გაეღო საამშენებლო მუშაობისათვის თანხები. არც ერთი დიდი საამშენებლო საქმე ა | კავკასიაში არ დაწყებულა, რომ მისთვის ა | კ. სახ. კომ. საბჭოს ფინანსიურ დახმარება არ გაეწია (ბაქოს ტრამვაი, შირაქის არხი, ზემო-ავჭალის ელსადგური და სხვ. მრავალი).

მომავალში საჭიროა დაცული იქნეს საბიუჯეტო წონასწორობა და [illegible] მოთხოვნილებებ[illegible]

შემდეგ მომხსენებელი გადადის ცალკე უწყებათა მუშაობის დახასიათებაზე (ტრანსპორტები, ა | კ წყლის მეურნეობა, საგანგებო კომისია, წითელ-არმია და სხვა). დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ ჩვენმა მუშაობამ ყოველ დარგში გამოიღო შესამჩნევი ნაყოფი და განამტკიცა ა.-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა. თუ ჩვენ ვივლით ამ გზაზე ხელიხელ ჩაკიდებული, გამოვალთ იმ ჩიხიდან, რომელშიც მიგვაყენა იმპერიალისტურმა ომმა და ყველა: ქართველები, სომხები, თათრები, ოსები აფხაზები და სხვები. დავდგებით იმ დიდ შარა გზაზე, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში— კომუნიზმის სამეფოში. (ინტერნაციონალი და მქუხარე ტაში).

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოსულ მისასალმებელ დეპეშების წაკითხვის შემდეგ, ამხ. მიხა ცხაკაია ყრილობის პირველ სხდომას დახურულად აცხადებს.

ყრილობა საღამოს 9 საათზე იშლება.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა

ვინაიდან ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ცნობებში სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის შესახებ ზოგიერთი შეცდომები შეგვეპარა, ვათავსებთ ხელმეორედ სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სიას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე	შ. ელიავა
სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილეები	ა. გეგეჭკორი და ლ. [illegible]
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი	ა. გეგეჭკორი
განათლების სახალხო კომისარი	[illegible]
მიწათმოქმედების სახალხო კომისარი	[illegible]
უმაღლეს სამ. საბჭოს თავმჯდომარე	[illegible]
მუშათა და გლეხთა სახ. კომისარი	[illegible]
შრომის სახ. კომისარი	ა. მიქაძე
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარი	კ. ხომერიკი
ჯანმრთელობის სახ. კომისარი	[illegible]
ფინანსთა კომისარიატის რწმუნებული	თ. ჟღენტი
საგანგებო კომისიის („ჩეკას“) თავმჯდომარე	ე. კვანტალიანი

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მუშათა ერთიანი ფრონტით—რეაქციის წინააღმდეგ

პარიზი. 5 იანვარი. საფრანგეთის რკინისგზელთა რევოლიუციონური კავშირის გენერალურმა მდივანმა სემარმა წერილი გაუგზავნა ინგლისელ რკინისგზელებს. სემარი წერილში აღნიშნავს, რომ **გერმანელი მუშები [illegible] ხიშტებისაგან და უკანასკნელ ძალებს იკრებენ ფაშიზმთან საბრძოლველად. ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები კი შეუთანხმდენ გერმანელ კაპიტალისტებს რურის ექსპლოატაციის შესახებ და მუშებს წაართვეს რვა საათის სამუშაო დღე, რაც საფრთხეს უმზადებს ფრანგ და ინგლისელ მუშებს,** რომლებსაც ასეთივე ძალადობით მოახვევენ თავზე გადიდებულ სამუშაო დღეს. საფრანგეთის მმართველების მადა დაეჯახება ინგლისის მრეწველების ფედერაციის წინააღმდეგობას, რის გამო შესაძლებელია ომი საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

ჩვენ წინაშე აღიმართა ფაშიზმის, რეაქციის და ომის საფრთხე. ტრანსპორტის მუშათა ბერლინის კონფერენციის დადგენილებებს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დღეს, როგორც გუშინ აუცილებელია ერთიანი პროლეტარული ფრონტის განხორციელება. დღეს, როგორც გუშინ საჭიროა მუშათა კლასის ღონისძიებების გაძლიერება და პროლეტარიატის მიერ იმის შეთვისება, რომ ყველა ხელოვნურათ შექმნილ დაბრკოლებებს ზევით სდგას რეაქციისათვის, ფაშიზმისათვის და ომისათვის მაგარი მუშური ფრონტის დაპირისპირება.

საფრანგეთის ტრანსპორტის მუშების უნიტარული ფედერაცია წინადადებას აძლევს რკინის გზელებს მოაწყონ ინგლისის რკინისგზელების მეზღვაურების და ტრანსპორტის მუშების ყრილობა საფრანგეთის დელეგატებთან ერთად მოქმედების საერთო გეგმის გამოსამუშავებლად.

ყრილობას უნდა დაესწრონ ბელგიის ორგანიზაციები და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონფედერაციის წარმომადგენლები. ყრილობამ უნდა განიხილოს აგრეთვე ტრანსპორტის მუშათა ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

„მაკრატლის“ პირები ერთმანეთს უახლოვდებიან.

უფა. 4 იანვ ჭვავის და ხორბლის ფასები დეკემბრის მეორე ნახევარში ასი პროცენტით გაიზარდა, მრეწველობის პროდუქტებზე ფასების ზრდა უმნიშვნელოა.

კიევი. 2 იანვარი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ზრდის გამო, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები შეუდგენ ფაბრიკატების შეძენას. „ვუკოსპილკის“ განყოფილებამ დეკემბერში რაიონულ კავშირებს და მუშათა კოოპერატივებს დაუგზავნა 75 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე ნოემბერში.

მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან.

ვერხნე-უდინსკი. 4 იანვ. ბურიატის ცაკის პრეზიდიუმმა ნებადართო ბაზარხანის თეთრ ბანდების მონაწილეთ დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას.

დიდი წვიმების შედეგი.

სევასტოპოლი. 5 იანვარი. დიდი წვიმების გამო იალტის შარა-გზის მეორმოცდათერთმეტე ვერსზე ჩამოინგრა გზა. კავშირი იალტასთან შეწყდა დიდი ხნით.

დახმარება გერმანიის კომკავშირს.

მოსკოვი. 5 იანვ. ახალგაზრდობის კომინტერმა რ. კ. ა. კ. მელიტოპოლის ორგანიზაციისაგან მიიღო სამი ვაგონი ხორბალი გერმანიის კომკავშირის დასახმარებლად.

თურქესტანი,

თურქესტანის ცაკის სესია.

ტაშკენტი. 5 იანვ. თურქესტანის ცაკის სესიაზე კადირ ალიევმა აღნიშნა, რომ თურქესტანის სოფლის მეურნეობა თანდათანობით აღდგენის გზაზე დგება. ფერგანში მაგალითად სათესი მოედანის სივრცე 300,000 დესეტინამდი იქნა აყვანილი. ინტენსივობა ემჩნევა ბამბის კულტურასაც. ბასმაჩების მოძრაობა მოისპო. ვაჭრობა-მრეწველობის ბალანსი უდრის 140 მილიონს, 1922 წელში კი 59 მილიონს უდრიდა. სახალხო განათლების დარგში ძლიერ ბევრი რამ გაკეთდა. თურქესტანში ამჟამად კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციების რიცხვი 1500 აღემატება. სახელმწიფო აპარატში შემოღებულია ადგილობრივი ენები.

მიწის ძვრის შედეგები.

ტაშკენტი. 5 იანვ. 29 დეკემბრის მიწის ძვრამ გაანადგურა ორი სოფელი, სამარყანდის ოლქში დაანგრია 400 სახლი. დაიღუპა 803 კაცი. დაზარალებულთ უკვე აღმოუჩინეს პირველი დახმარება.

ბუხარა

მოსკოველი მუშები სტუმრად ბუხარაში.

ბუხარა. 5 იანვ. ჩამოვიდა წითელი პრესნის რაიონის მუშების დელეგაცია, რომლებიც მოიპატიჟეს ბუხარის მუშებმა და დეხკანებმა საკავშირო გამოფენაზე ყოფნის დროს. მოსკოველ მუშების დელეგაციამ ბუხარის კომუნისტური პარტიის ც. კ., ბუხარის ცაკს და პროფკავშირებს გადასცა საჩუქრები პროხოროვსკის მუშებისაგან.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

სასულიერო წიგნების შემოწმება.

ბათომი 4 იანვ. ლიტერატურის მთავარმა სამმართველომ დაასრულა ყველა სკოლებში გადასინჯვა ყველა ხელნაწერებისა, სურათებისა და წიგნებისა, რათა იქიდან გამოეკლო სარწმუნოებრივი და ანტისაბჭოთა შინაარსის მასალები, რომლებიც უხვად მოიპოვებოდა.

არდადეგები.

ბათომი. 4 დეკ. განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა, სააღდგომო დასვენების ნაცვლად, მოწაფეთა არდადეგად დააწესოს თებერვლის თვე და კვირის მაგიერ პარასკევი იუქმონ.

ნავთსადგურში,

ბათომი. 4 იანვ. ალექსანდრიისაკენ გავიდა გემი „ამალტუს“-ი, 500,000 ფუთი ნავთით დატვირთული.

„არკოსი“.

ბათომი. 4 იან. „არკოსი“ გზავნის ლონდონში 200,000 ფურცელ ადგილობრივ დამზადებულ ფანერს და მარსელში 700 ფუთ აბრეშუმის პარკს.

აფხაზეთი

ჰიდრო-მელიორატიული განყოფილება.

სოხუმი. 4 იანვ. აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატთან დაარსდა ჰიდრო-მელიორატიული განყოფილება, რომელმაც შეამუშავა ხარჯთ-აღრიცხვა დაბლობების ამოშრობისა, ჰიდრო-ელექტრო სადგურის დადგმისა და ჰიდრო-მელიორატიული მუშაობის წარმოებისა.

კოოპერატიული ქონების დაზღვევა.

სოხუმი. 4 იანვ. ცენტროკავშირის მთავარმა სამმართველომ დაავალა აფხაზეთის განყოფილებას აწარმოვოს კოოპერატიული ქონების დაზღვევა.

გლეხების ხარჯით.

სოხუმი. 4 იანვ. გუმისტანის მაზრის სოფ. ანუხვაში გლეხების ხარჯით შენდება სახალხო სახლი.

აზერბეიჯანი

უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმა.

ბაქო. 2 იანვარი. აზერბეიჯანის განათლების სახ. კომისარიატმა დაარსა განსაკუთრებული კომისიები უმაღლეს სასწავლებლების პროგრამებისა და მეთოდების განსახილველად. ეს პროგრამა-მეთოდები თვალსაჩინოთ იქნება შეცვლილი. დაიხურება რამოდენიმე კათედრა და განყოფილება და მათ მაგიერ გაიხსნება ახლები. ასეთივე რეფორმა ამჟამად ტარდება რუსეთშიაც.

მუშათა ფაკულტეტი.

ბაქო. 4 იანვარი. ბაქოში ამჟამად არსებობს მუშათა ფაკულტეტის 4 განყოფილება, 3 რუსული და 4 თურქული ქვეგანყოფილებით. წრევანდელ სამოსწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი 1.800 აღემატებოდა. ამათგან დაახლოებით ორ მესამედს მაინც თურქები შე[illegible]გენენ. შარშანდელთან შედარებ[illegible] [illegible] ზარდა, კერძოდ თურქებ[illegible] კი ერთისამადაც იქ[illegible] მუშათა კულტეტებზე 16 პროც. ქალი [illegible] ლობს, ამათგან 183 რუსულ გან[illegible] ფილებაში და 31 თურქულზე. [illegible] შან თურქი მოსწავლე ქალები [illegible] თქმის არ იყვნენ. მოსწავლეთა [illegible] პროც. მუშების შვილებია, 33 პრო[illegible] გლეხისა და 10 პროცენტზე მე[illegible] მოსამსახურეთა შვილები კურსებ[illegible] მოსწავლე კვალიფიციურ მუშა[illegible] რიცხვი 1-594-ს, უდრის, მოსამსახურეთა რიცხვი—292. პარტიულა[illegible] ასე ნაწილდებიან: აზერბ. კომუნისტური პარტიის წევრი და კანდიდატი არის 462, ახალგ. კავშირის წევ[illegible] რი—401, პროფკავშირის წევრება[illegible] ითვლება—1 600 კაცი. თუმცა [illegible] ცნობები სრული არ არის, მაგრა[illegible] ეს ციფრებიც საკმაოდ გვიჩვენებ[illegible] რომ მუშათა ფაკულტეტების მო[illegible] წავლეთა შემადგენლობას მშრომელ[illegible] ელემენტი შეადგენს.

სტუდენტთა ექსკურსია.

ბაქო. 4 იანვარი. ჩამოვიდა პე[illegible] როგრადის ქალაქის აკადემიის მ[illegible] ფაკის სტუდენტთა ექსკურსია [illegible] სტუდენტის შემადგენლობით; [illegible] კურსიას მეთაურობს პროფესო[illegible] ბელოვი. ექსკურსიას მიზნად ა[illegible] გაეცნოს ბაქოს სარეწავების რაიო[illegible] ნავთის პროდუქტების ამოღებ[illegible] მათი დამუშავების ყველა საშუალ[illegible] გებს. აზერბეიჯანის ნავთის [illegible] რი სამმართველო დიდ დახმარებ[illegible] უწევს ექსკურსანტებს. ადგილებ[illegible] მათ ახსნა-განმარტებებს აძლევ[illegible] სპეციალისტები. ექსკურსანტებს გან[illegible] რახვა აქვთ დაათვალიერონ აზერ[illegible] ბეიჯანის ნავთის სამმართველოს ყვე[illegible] ლა ქარხნები, სადაც მათ ლექციებ[illegible] წაუკითხავენ ნავთის მეურნეობი[illegible] შესახებ.

შეფობა სოფელზე.

ყაზახი. 4 იანვარი. საფაბრიკო-საქარხნო რაიონის მუშებმა შეფობა მიიღეს ყაზახის მაზრაზე. ზოგიერთ სოფლებში მოწყობილია უკვე ქოხი სამკითხველოები და სალამოს კურსები. ყურადღება აქვს მიქცეული აგროპუნქტის აუკეთესოთ მოწყობას.

ფიზიკური კულტურა.

ბაქო. 4 იანვარი. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მოიწონა სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოსთან არსებულ ფიზიკური აღზრდის განყოფილების მუშაობის გეგმა: სპორტიულ ორგანოების აღრიცხვა მაზრებში, [illegible] ნი სპორტიული სამკითხველოს შექმნა, სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებათა უზრუნველყოფა ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორებით, სახალხო განათლების განყოფილების შტატებში დიდ მაზრებში თითო ინსტრუქტორის შეყვანა, [illegible] ქლუბების გახსნა, ბაქოში 6 თვიანი კურსების გახსნა ინსტრუქტორ[illegible]

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს კონკურსს
ლენინის ძეგლის ესკიზისას, რომელიც უნდა იქნეს დადგმული ამხ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში.
ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს.
1-ლი ჯილდო 100 მან. ბაჯაღლოს ოქრ.
მე-2-ე ჯილდო 80 „ „ „
მე-3-ე ჯილდო 50 „ „ „
ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელ დროთ დანიშნულია 1924 წ. 10 იანვარი.
ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.
784—4—4 პრეზიდიუმი.

მოსამზადებლად, მონაწილეობა ახალგაზრდა პიონერების ორგანიზაციაში, ლიტერატურის გამოცემა ფიზიკური კულტურის დარგიდან და სხვ. კოლეგიამ აუცილებლად სცნო პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში გადიდებულ იქნეს საათების რიცხვი და წინადადება მისცა ბაქოს სახალხო განათლების განყოფილებას იზრუნოს შენობების მოსაძებნად ფიზიკური კულტურის სკოლებისათვის.

წყალსადენი.

ბაქო. 4 იანვარი. აზერბეიჯანის მაზრებში წყლის მოწოდების საქმე ვერ არის რიგიანად მოგვარებული. გარდა ნუხის, შუშის, ყაზახის და ზაქათლისა, ყველა დანარჩენ მაზრებში წყალსადენი არ მოიპოვება და მოსახლეობა წყალს ხმარობს გასვრილ ჭებიდან და მახლობელ ღია არხებიდან. ამის გამო ვრცელდება ავადმყოფობა. წყლის მიწოდების საქმის ასეთი სიძნელის გამო ავადმყოფობასთან ბრძოლა უშედეგოთ რჩება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურმა სამმართველომ მიიღო ზომები აზერბეიჯანის ყველა მაზრებში დაკეტილ წყალსადენების აღსადგენად. ამ მიზნით პირველ რიგში გაგზავნილ იქნენ ინჟინრები კუბაში, გეოკჩაიში, აგდამში და კარიაგინოში. ინჟინერებს ევალებათ ნორმალური მაგისტრალების [illegible] წყალსადენისათვის. მეორე რიგში ინჟინერები გაგზავნილ იქნებიან სალიანში, ლენქორანში და აღდაშში.

შრომის სახალხო კომისარი.

ბაქო. 4 იანვარი. აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ბაქოს საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამხ. კრილოვი დანიშნულია შრომის სახალხო კომისრის თანამდებობაზე.

საჩუქარი თურქულ „კომუნისტს".

ბაქო. 4 იანვარი. თურქული გაზეთის „კომუნისტი"-ს იუბილეს დღეს მიწათმოქმედების და ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეწირა გაზეთს [illegible].

ინვალიდების სასარგებლოდ.

ბაქო. 4 იანვარი. აზერბეიჯანის ცაკმა დაადგინა: სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფ ინვალიდების სასარგებლოდ დაწესებულ იქნეს 5 პროცენტის გადარიცხვა პირველი კლასის სასადილოების ანგარიშზე.

შრომის ბირჟაში.

ბაქო. 4 იანვ. შრომის ცენტრალურ ბირჟასთან უკვე მუშაობს გამოცხადებისათვის ორი კომისია: ერთი იმ უმუშევართათვის, რომელთაც ესმით თურქული ენა, მეორე—ყველა დანარჩენებისათვის და საკანცელარიო მუშაკებისათვის. ამ ჟამად ბირჟაში რეგისტრაციით აღრიცხულია 420 კაცამდე. კომისიები ჩაატარებენ სასტიკ წმენდას. სწარმოებს მოლაპარაკება „კასპარ"-თან უკანასკნელიდან 4,000 ტომრის შეკეთების სამუშაოს მიღების შესახებ, რაც სამუშაოს უშოვნის რამოდენიმე ათეულ უმუშევარს. ამ დღეებში ბალახანში, ბიბი-ეიბათში და შავს ქალაქში გაიხსნა ფეხსაცმელის სახელოსნოები, რომლებშიაც იმუშავებენ უმუშევრები.

სომხეთი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეცების კრება.

ერევანი. 4 იანვ. ამ დღეებში მომხდარ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეცთა და სომხეთის კოოპერატივის წარმომადგენელთა კრებამ განიხილა საკითხი, თუ როგორი შეღავათები შეიძლება მიეცეს თამბაქოს მოყვანის მსურველთ და აგრეთვე საკითხი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელ კოოპერატივთა ორგანიზაციისა. სხდომამ მიიღო სათანადო კანონის პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინება სახალხო კომისართა საბჭოს.

საქონლის სანიმუშო კვება.

ერევანი. 4 იანვარი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საზეითლო ქვეგანყოფილების ინსტრუქტორებმა სოფ. ოჯაქანში (ეჩმიაძინის მაზრა) მოაწყვეს საქონლის სანიმუშო კვება, რომელმაც საუცხოვო ნაყოფი გამოიღო. სანიმუშოდ ნაკვებმა საქონელმა 100 პროც.-ით მეტი მოიწველა. გლეხები კმაყოფილნი დარჩნენ ამ მაგალითით და შეუდგნენ ამ წესის გატარებას ცხოვრებაში.

სასკოლო საქმე ზანგეზურში.

გორისი. 4 იანვარი. ზანგეზურის მაზრაში, 1923—24 წელს არსებობს 65 სკოლა პირველი საფეხურისა, 1 სკოლა მე-2 საფეხურის და ერთიც ჭრა-კერვის სკოლა. გორისის მე-2 საფეხურის სკოლას უწოდეს ამხ. ლუკაშინის სკოლა.

პარტიული ცხოვრება

შინაპარტიული დემოკრატია და ოპოზიცია პრაქტიკაზე

დისკუსიის დროს ზოგიერთი ამხანაგები ოპოზიციიდან აცხადებდენ იმის შესახებ, რომ ტფილისის ორგანიზაციაში სათანადოთ არ ტარდება ამორჩევლობის წესი. ზოგიერთები პირდაპირ აცხადებდენ, რომ უჯრედების და უჯრედების ბიუროების ყველა მდივნები ან დანიშნულნი არიან, ან და იძულებითი „რეკომენდაციის" წესით არიან გაგზავნილი თანამდებობაზე. საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტმა ცირკულიარული წერილით ურჩია ყველა უჯრედებს მოეხდინათ მდივნების და უჯრედების ბიუროების გენერალური გადასინჯვა; ამ შემთხვევაში ისინი უნდა დაყრდნობოდენ მიღებულ გადაწყვეტილებებს შინა-პარტიულ მუშათა დემოკრატიის შესახებ. ამ საკითხს ყურადღება მიაქციეს უჯრედებმა მორიგ ერთიან პარტიულ დღეს.

გამოირკვა [illegible]

1) „[illegible]ენების და უჯრედების [illegible] გადარჩევის წინააღმდეგ ილაშქრებდენ ისინი, ვინც ყველაზე მეტს გაიძახოდა დემოკრატიის შესახებ, ამხანაგები ეგრეთ წოდებულ ოპოზიციიდან. იმათ თითქოს მოილაპარაკეს უჯრედებში, ისინი აცხადებდენ, რომ ტფილისის კომიტეტის ცირკულიარი,—„ეს დიპლომატიური ნაბიჯია", რომ „ჩვენ საშუალებას არ გვაძლევენ ვაერკვიოთ ამ საკითხში", „აუცილებელია ამ საკითხის გადადება" და სხვა.

ასე გამოდიოდენ ამხ. ამხ. ფირცხალავა, როტველაძე, გიო კიკნაძე და მთელი რიგი ამხანაგებისა.

2) უჯრედების დიდი უმრავლესობა აცხადებდა, რომ წინეთ მათზე არავინ არ ახდენდა ძალდატანებას და ისინი ირჩევდენ იმავე მდივნებს და უჯრედების იმავე ბიუროებს.

3) იქ, სადაც მოხდა გადარჩევა ანდა ზოგიერთი ცვლილებანი—საკითხი არ ყოფილა დასმული უჯრედში რაიმე ზეგავლენის [illegible], რომელსაც წინეთ ჰქონდა ადგილი.

1-ლ რაიონში დარჩენ ძველი მდივნები და უჯრედების ბიუროები შემდეგ უჯრედებში:

[illegible] სახელოსნოებ, დეპო, სამმართველო, რკინისგზის საგანგებო კომისია, რკინისგზის საავადმყოფოები, რკინისგზის სტამბის უჯრედი, გზათა სახალხო კომისარიატის საყარაულო რაზმი, გადასახადთა სამმართველო, მე 6 რაიონის გზათა სამმართველო და სხვა.

მეორე რაიონში, ასევე: სპილენძის ქარხნის უჯრედი, ფაბრიკა „პროლეტარი", ხე ტყის სახერხი სამხედრო ქარხნის უჯრედი, ცენტროსაწყობის და სატრანსპორტო ეზოს უჯრედი, ტრამვაის უჯრედი, მუშკოპის უჯრედი ცენტრ. სატრ. სამმართველოს უჯრედი (მცირე ცვლილებით), კოლოფების ქარხნის უჯრ., მიხეილის საავადმყოფოს უჯრ., წყალსადენის სახელოსნოს უჯრ., ავტოსახელოსნო № 1-ის და ავტოსახელოსნო № 2-ის უჯრედები, ცენტრ. ელექტროსადგურის უჯრედი, მეტყავეთა ადგილკომის უჯრედი და სხვ.

მესამე რაიონში, ასევე: მშენებლთა უჯრ., ქარხკომი № 11, ტყავის ქარხანა № 8, ქალაქის წისქვილი, „დაგბები", ქალაქის სასაკლაო, მილიციის მეხუთე კომისარიატი, მიწათმოქმ. სახ. კომ., შრომის სახ. კომისარიატი და სხვ.

მეოთხე რაიონში ასევე: საქარხნო სასწავლებლის, ქალაქის აღმასკომის მუშათა ფაკულტეტის, „უეს"-ის, ამ.-კავ. ფინ. სახ. კომ—ის, იუსტიციის სახ. კომ—ის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ქალ. ფურნის, ცეცხლის მქრობელ რაზმის, ლენინის სახ. თამბაქოს ქარხნის, საქართ. საგანგებო კომისიის, სახელმწ. თეატრის, ფინ. სახ. კომ. რწმ. სამმართველოს, ცენტრ. პარტსკოლის დაგრეხილ ავეჯეულობის ქარხნის უჯრ. და სხვ.

მდივნების და ბიუროების შემადგენლობის გენერალურმა გადასინჯვამ დაგვიმტკიცა, რომ შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიის პრინციპებს, პრინციპებს ამორჩევლობის შესახებ ქვედა პარტიულ ორგანიზაციებში წინეთაც ჰქონდა ადგილი ჩვენს ტფილისის ორგანიზაციაში. ახლო მომავალში აუცილებელია, რომ რაიონულმა კრებებმა გადასინჯონ რაიკომების შემადგენლობაც. შეიძლება იქ დაშვებული იყო რაიმე შეცდომები. დეე თვით რაიონულმა კრებებმა გამოსთქვან ამის შესახებ თავისი აზრი.

მაგრამ რისთვის ილაშქრებდენ მდივნებისა და უჯრედების ბიუროების გენერალური გადაინჯვის წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული ოპოზიციონერები?

განა ტფილისის კომიტეტის მიერ მიღებული ნაბიჯები საუკეთესო გარანტია არ არის შინა პარტიულ დემოკრატიის ცხოვრებაში პრაქტიკულ გატარებისათვის?

როგორ შეიძლება ამ ნაბიჯებისათვის „ტაქტიკური ხერხის" წოდება? ოპოზიციონურ ამხანაგების ასეთი მოქმედება ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ შინა-პარტიულ დემოკრატიასთან, ის ააშკარავებს აგრეთვე იმას, რომ მათ ხმაურობას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ჩვენ მხედველობაში არ გვყავს ის ამხანაგები, რომელნიც საქმიანად აყენებდენ საკითხს დემოკრატიის შესახებ პარტიის შიგნით, საქმიან კრიტიკას ეწეოდენ და სხვა.

ეს ამხანაგები, ალბათ, დაკმაყოფილებული არიან ტფილისის კომიტეტის პრაქტიკული ნაბიჯებით შინა-პარტიულ დემოკრატიის საკითხებში. ამ ამხანაგებისა და მთელ პარტიულ მასის დახმარებით ჩვენი ორგანიზაცია შესძლებს თავის ავადმყოფობათაგან განთავისუფლებას.

ჩვენ მხედველობაში გვყავს ის ამხანაგები, რომელნიც შინა-პარტიულ დემოკრატიის შრომას ამოფარებულნი სცდილობდენ ცოტა სხვა რამის გამოტანას თავის ფრაქციონული ბაგაჟის მარაგიდან.

ჩვენმა ორგანიზაციამ გადაჭრით გაკიცხა ჩვენში არსებული ფრაქციონული ჯგუფები, ჩვენი ორგანიზაცია შესძლებს იმასაც, რომ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ამხანაგებს, რომელნიც ჯგუფური ინტერესებისათვის გაილაშქრებენ შინა-პარტიულ მუშათა დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებისაკენ მიმართულ პრაქტიკულ ნაბიჯების წინააღმდეგ და ამა თუ იმ სახით ჩირქს მოსცხებენ ამ ნაბიჯებს.

რუბენ.

პარტიული დისკუსიის გარშემო

ფრაქციები და ჯგუფები დაუშვებელია.

როსტოვი-დონზე. 5 იანვარი ქალაქის ორგანიზაცია შეუერთდა ც. კ. რეზოლიუციას და დაუშვებლათ აღიარა ფრაქციების და ჯგუფების არსებობა პარტიაში. ორგანიზაციის კრება ამხ. ტროცკის გამოსვლას, რომელმაც შექმნა უნდობლობა ც. კომიტეტისადმი, შეცდომათ სთვლის.

ასეთივე რეზოლიუციები გამოიტანეს ნახჩევანის და ტამერნიცკის რაიონულმა ორგანიზაციებმა.

იწონებენ ც. კ. ხაზს.

ჩებოკსარი. 5 იანვარი. ქალაქის ორგანიზაციამ მოიწონა ც. კ საორგანიზაციო ხაზი და დაუშვებლათ აღიარა პარტიის შიგნით ჯგუფების და ფრაქციების არსებობა.

ერთხმულოვნად მიღებული რეზოლუცია.

ბუხარა. 5 იანვარი. ბუხარას კომუნისტური პარტიის ც. კ. პლენუმმა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც უერთდება რ. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციას და კიცხავს ფრაქციაულობას.

იწონებენ ც. კ. რეზოლიუციას.

სევასტოპოლი. 5 იანვარი. შავი ზღვის ფლოტის პარტუჯრედები სავსებით იწონებენ ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციას.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(6 იანვარი).

ჩერვონცები — — —	500,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	483,500
ჩეკები	— 483,500
დოლარები ეფექტ.	— 111,000
ჩეკები	— 105.000
ოსმ. ქაღ. ლირა	72.000
იტალიური ლირა	4000
ფრანგული ფრანკი	5500
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნაბ.

მუშკოოპის ფასები.

(5 იანვარი)

პური 1 ხარ.—2500 ათ., პური 2 ხარ—2000. ათ. ძროხის ხორცი—9000 ათ. ღორის ხორცი 10,000 ათ. შაქარი რაფინადი — 26,000 ათ. [illegible] — 15,500 ათასი ბრინჯი აღდ. 4000 ათ. კარტოფილი—500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(5 იანვარი).

პური 1 ხარ.—3500 ათასი, პური 2 ხარ.—2500 ათასი, ძროხის ხორცი 12000 ათ. ცხვრის ხ.—13000. შაქარი რაფინადი—27000 ათ., შაქარი ფხვნილი 16,500 ათ. ბრინჯი აღდ.—6500 ათ, კარტოფილი 1000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„ურალმეტ"-ის პროდუქცია, ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, მავთული (რბილი), შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ. ცემენტი და ეტერნიტი, ქვამარილი ნახიჩ., სალომასი, აქლემის ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია.

ბირჟის მოთხოვნილება.

ყუბანის ფქვილი, ტეხნიკური ცხიმი, პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, რუსეთის მანუფაქტურა, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკონდიტრო), საშენებელი ლურსმნები, ჩაი, რუს. ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩ. მაკარონი და ვერმიშელი—1-ლი ხარისხის.

ოფიციალური გარიგებანი.

შაქარი ფხვნილი რუს.—10 მ. 78 კ. ჩერვ. ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი. სალომასი—10 მ. ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა; ტეხნიკური ცხიმების ფასები აწეულია; შაქრის ბაზარზე—გაცხოველებული, საფეიქრო ბაზარზე—უმოქმედობაა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(6 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	— 500.000,	60 კ.	— 30.000.000
2 „	—1.000.000,	70 „	— 35.000.000
3 „	—1.500.000,	80 „	— 40.000.000
4 „	—2.000.000,	90 „	— 45.000.000
5 „	—2.500.000,	1 მ.	— 50.000.000
6 „	—3.000.000,	2 „	—100.000.000
7 „	—3 500.000,	3 „	—150.000.000
8 „	—4.000.000,	4 „	—200.000.000
9 „	—4.500.000,	5 „	—250.000.000
10 „	—5.000.000,	6 „	—300.000.000
20 „	—10 000.000,	7 „	—350.000.000
30 „	—15 000.000,	8 „	—400.000.000
40 „	—20.000.000,	9 „	—450.000.000
50 „	—25.000.000,	1 ჩერ.	500.000.000

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

ა.-კ. სავაჭრო სამმართველოს ბალანსი.

ამ დღეებში კომისიამ, რომელმაც განიხილა ა.-კ. სავაჭრო სამმართველოს ბალანსი 1923 წლის 1 ოქტომბრამდე, გააკეთა მოხსენება ბალანსის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სამმართველოს კოლეგიის მიერ.

სოხუმის ნავთსადგურის და საწყობების ექსპლოატაცია.

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა, ა.-კ. საბაჟო სამმართველოსთან შეთანხმებით, დაიწყოს სოხუმის ნავთსადგურის და საწყობების ექსპლოატაცია სატრანსპორტო ოპერაციებისთვის.

ბირჟის კვირეული

(24—31 დეკემბ.)

ამ კვირის განმავლობაში ბირჟას დაესწრო 212 წევრი, 59—გარეშე პირნი. დადებულია გარიგებანი: საფონდო—199, სულ 75575 ჩერ. მან., საქონლის—13, სულ 446482 ჩ. მანეთისა; საფონდო და საქონლის გარიგებების ღირებულება უდრის 522057 ჩ. მან.

მყიდველები იყვნენ: სახელმწიფო დაწესებულებები 109, კოოპერატივები 25, საზოგადო ორგანიზაციები 5 და კერძო პირნი 73; გამყიდველები: სახელმწ. დაწესებ. 188, კოოპერატივები 1, საზ. ორგანიზაციები 7 და კერძო პირნი 16. იყიდეს ვალიუტა: სახელ. დაწესებულებებმა (ათასობით) 5184, კოოპერატივებმა 3640, საზოგ. ორგ. ნიზ. 420 და კერძო პირებმა 19675 გაყიდეს ვალიუტა: სახელ. დაწესებ. 48266, კოოპერატივებმა 0, საზოგ. ორგანიზ. 8930 და კერძო პირება 18379. იყიდეს საქონელი: სახელ. დაწესებ. 173524 ათ., კოოპერატივებმა 2286, საზოგ. ორგანიზ. 0 და კერძო პირებმა 270672; გაყიდეს საქონელი: სახელ. დაწესებულ. 177729, კოოპერატ. 259467, საზოგ. ორგანიზაციებმა 0 და კერძო პირებმა 9286.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

2 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 15 გარიგება სულ 112684 ჩ. მან. თანხისა, ხოლო 3 იანვარს—4 გარიგება—6577 ჩ. მანეთისა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო კომიტეტში

გლაუბერის მარილის ქარხანა მუხროვანში.

1923 წლის უკანასკნელ თვეებში გაკეთებულია ორი აუზი შესაფერ მოწყობილობით გლაუბერის მარილის კრისტალიზაციისთვის. გამომუშავებულია 840 ფუთი კრისტალური სოდა (მირაბილიტი). ამ რიცხვიდან და აგრეთვე იმ მარაგიდან, რომელიც დარჩენილი იყო წინა თვეებიდან, გაიყიდა და გაშვებულია ბორჯომის შუშის ქარხნისთვის 1125 ფუთი. მარილი იყიდება 52 კაპ. ფუთი, ფრანკო-ვაგონი ვაზიანის სადგურზე.

ქარხანა „შრომა".

ქარხანა „შრომა"-ში მუშაობს 69 მუშა (59 საწარმოვო და 10 არასაწარმოვო) და მოსამსახურე—9 აწარმოებს ცეცხლ-მაგარი აგურის გამოწვას და თიხის მიწის დაფქვას. ქარხნის საშუალო პროდუქცია თვეში უდრის 25—30 ათასს აგურს. ცეცხლ-მაგარი აგური სადდება უმეტესად რკინის გზაზე—22,5 კაპ. ცალი, დანარჩენ მყიდველებისთვის—35 კაპიკათ.

თვითგანვითარებისათვის

ფურცელი № 2

ლიტერატურის შერჩევა

როგორ ვისწავლოთ კარგი წიგნების კითხვა, რომ ასეთი კითხვიდან კეთილი ნაყოფი გამოვიტანოთ?

თვითგანვითარების დროს ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივიღოთ ცოდნა რამდენათაც შეიძლება მოკლე ხანში და ამავე დროს დავხარჯოთ რაც შეიძლება ნაკლები ენერგია. თვითგანვითარებაში მშრომელებს სჭირია უდიდესი ეკონომია. ამიტომაც პირველი და უმთავრესი საქმე—წიგნების შერჩევაა.

უჩვეულო კაცისთვის ძნელია გზის გარკვევა წიგნების სამყაროში, თუ იგი მოკლებულია რჩევა-დახმარებას. ამ დახმარებას უწევს მას ბიურო, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ სამეცადინო საგნისთვის საჭირო წიგნებს.

კითხვის წესი.

ყველა მკითხველის და ყველა წიგნებისათვის სწორი და სავალდებულო წესი არ არსებობს და ასეთი წესი არც არის საჭირო. საქმე წესებში კი არ არის, არამედ კითხვისადმი სიყვარულში.

ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ არის უმჯობესი კითხვა.

1. სჯობს ყურადღებით წაიკითხოთ ერთი წიგნი, ვიდრე ათი, მაგრამ ცუდათ. ეცადეთ სწორათ გაიგოთ და შეითვისოთ წანაკითხი. დრო გამოშვებით შესწყვიტეთ კითხვა და მოიფიქრეთ ის, რაც წაიკითხეთ, და გამოსცადეთ თავი—გაიგეთ ყოველივე წაკითხული, თუ არა. თუ გაუგებარია რამ—გადაიკითხეთ კვლავ, თუნდაც რამოდენიმეჯერ.

წაკითხულის დამახსოვრება ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, საჭიროა გაიგოთ ავტორის (მწერლის) აზრი,—რატომ სწერს იგი ასე და არა სხვაგვარათ, რას ემყარება იგი; რით ასაბუთებს იმას, რომ მისი აზრი ჭეშმარიტია. გარდა ამისა,—დამარწმუნებელია მისი დასაბუთება თქვენთვის თუ არა და მართალია თუ არა მისი საბუთები.

ასეთი კითხვა—ნელი კითხვაა, მაგრამ ამას არ უნდა მოვერიდოთ.

2. რომ გამოსცადოთ თავი,—გასაგებია ყოველივე წიგნში თუ არა, სინჯეთ მოუთხროთ თავის თავს, ან უმჯობესია--სხვა ვინმეს, ის რაც წაიკითხეთ. რაც გასაგებია,—მოყვებით. მოთხრობის დროს იგრძნობთ რა არის შეთვისებული და რა არა.

3. უმჯობესია, თუ იკითხავთ არა ცალკე, არამედ ამხანაგებთან, წრეში. მაშინ გაუგებარს გაგაგებინებენ ამხანაგები, ან თქვენვე განუმარტავთ მათ გაუგებარ ადგილებს. კითხვის შემდეგ ასეთ წრეში უეჭველად ატყდება სჯა-ბაასი. ერთი დაეთანხმება ავტორს, მეორე არა; პირველი დაიცავს ავტორის აზრებს, მეორე უარყოფს. ან შესაძლებელია, რომ წრის წევრებმა სხვადასხვაგვარათ გაიგონ წიგნის შინაარსი. ეს კამათში გამოირკვევა. ხანდახან ასეთი კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა უფრო სასარგებლოა, ვიდრე თვით კითხვა.

4. სასარგებლოა ამოწერა წიგნიდან საყურადღებო აზრების. ამისთვის ცალკე რვეული უნდა მიიჩინოთ. რა არის ჩასაწერი რვეულში—გადაწყვეტს თავისთვის ყოველი მკითხველი. ჩასაწერი იქნება ალბათ ის აზრები, რომლების დამახსოვრება საჭიროა ცნობისათვის, რათა შემდეგ მოიგონოთ რომელიმე ამბის აღწერა, ციფრი, წელიწადი, სასარგებლო რჩევა, კარგათ დაწერილი ლამაზი ადგილები ან ლექსი.

5. წაკითხულის ჩაწერა სხვაგვარათაც შეიძლება: მოკლეთ აღნიშნოთ წიგნის შინაარსი, ავტორის მთავარი აზრები და მათი მთავარი დასაბუთება. თუ ამ ნაწერს (კონსპექტს) გადაავლებთ თვალს ერთი წლის შემდეგ, უწიგნოთ მოგაგონდებათ ბევრი რამ დავიწყებული და ამგვარათ შეგევსებათ ცოდნა.

კონსპექტების შედგენის შესწავლა ძლიერ სასარგებლო საქმეა.

6. კითხვის დროს მკითხველს მრავალი აზრი გაუჩნდება წაკითხულის გარშემო. რაც უფრო მეტათ და ძლიერ იმუშავებს მკითხველის აზრი, მით უკეთესია. ბოლოს და ბოლოს უმთავრესი საქმეა შეჩვევა დამოუკიდებელ აზროვნების, დაფასება იმის, რასაც კითხულობ, წაკითხულის არა დაჯერება, არამედ კრიტიკული გასინჯვა ე. ი. შედარება ცხოვრების ფაქტებთან, მოფიქრება იმის, მართალია ის, რასაც ავტორი ამბობს თუ არა?

ამიტომაც სასარგებლო იქნებოდა, რომ რვეულში ჩასწეროთ გარდა წაკითხულისა თქვენი აზრიც, მაგალითად „მე ამისა და ამის შესახებ ვფიქრობ ასე და ასე"...

7. კითხვის დროს შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს წიგნისაგან დამოუკიდებელი აზრები, თითქოს წიგნისათვის უცხო აზრები. ნამდვილათ კი ეს აზრები წიგნთანაა დაკავშირებული. აბა, სინჯეთ შეიგნოთ: რატომ მოგივიდათ ეს აზრი სწორეთ ამ წიგნის კითხვის დროს და თქვენ ამ კავშირს აღმოაჩენთ. თუ ამ აზრებს მიიჩნევთ საყურადღებოთ—ჩაიწერეთ რვეულში. ჩაიწერეთ, აგრეთვე, თქვენი ცხოვრების საყურადღებო ფაქტები, თქვენი ნაცნობების საინტერესო აზრები ან მოხდენილი სიტყვა, თქვენი საუბარი მათთან და სხვა. ჩაიწერეთ საზოგადოებრივ ცხოვრების საყურადღებო ამბები.

ასეთი შინაარსის რვეული სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დღიურად.

ყოველ მკითხველს უნდა ვურჩიოთ იქონიოს თავისი დღიური. იგი მას დიდ სამსახურს გაუწევს. იმის საშუალებით თქვენ შეისწავლით თქვენი აზრების სიტყვებით გამოთქმას, ხოლო სიტყვების ქაღალდზე დაწერას, შეისწავლით სხვისი აზრების გადმოცემას, განავითარებთ დაკვირვებას და ყურადღებას. შემდეგ დღიურის წაკითხვის დროს თქვენ დაინახავთ განსხვავებას—როგორ ფიქრობდით და გრძნობდით წინად და ეხლა. დღიურში ასახული იქნება თქვენი გონებრივი განვითარების მთელი მსვლელობა.

8. მთელი წიგნის წაკითხვის შემდეგ თავის თავს უნდა მისცე ანგარიში იმაში, თუ რა წაიკითხე, უნდა შეაფასო წიგნი. ერთხელ კიდევ მოისაზრო, რაზეა ლაპარაკი იქ, რა უნდოდა ეთქვა ავტორს, დაამტკიცა თავისი აზრი თუ არა, სწორია თუ შემცდარი მისი აზრი. იპოვეთ თუ არა რაიმე ახალი თქვენთვის წიგნში, რაც თქვენ წინად არ იცოდით, საინტერესო, სასარგებლო, თუ წიგნმა არაფერი არ მოგცათ. რა უნდა იქნას გაკეთებული წაკითხულიდან, ან იქნებ საჭიროა სხვა წიგნების წაკითხვა, სადაც უფრო ვრცლად იქნება ნათქვამი ამის შესახებ, ან გაეცნოთ სხვა აზრებს, გარდა წაკითხულ წიგნის ავტორის აზრებისა.

ანგარიში და შეფასება უნდა ჩაიწეროს დღიურში.

ვის უნდა მიმართოთ თვითგანათლების საქმეში დახმარების მისაღებად.

თვითგანათლების საქმეში შეიძლება შეხვდეთ მრავალ სხვადასხვა ხასიათის დაბრკოლებებს, როგორც მაგ. არ იცი საიდან დაიწყო მუშაობა, როგორი წიგნები უნდა წაიკითხო, ან სად იშოვი ამ წიგნებს, ვინ განგიმარტოს გაუგებარი, შეამოწმოს სწორედ მიდის თუ არა მუშაობა და სხვა.

1. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა რამდენიმე ამხანაგისაგან წრის შედგენა ერთად სამუშაოთ და ხელმძღვანელის მოწვევა. ერთად მუშაობა უფრო ადვილია, ამხანაგები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას, უფრო ადვილია წიგნების, გაზეთების და ჟურნალების შოვნა. წრეში მუშაობა უფრო ადვილია, მაგრამ ის მოსახერხებელი არა ყველა ამხანაგებისათვის.

წრეში მუშაობაც სასარგებლო იქნება მხოლოდ მაშინ, როცა თვითეული წევრი ცალკეც იმუშავებს და წრის კრებაზედაც გამოცხადდება თავისი აზრებით და დაკვირვებებით.

2) **ყველა საკითხებით, რომელიც აღძვრით თვითგანათლების საქმეში ჩაბმულ ამხანაგებს, მათ უნდა მიმართონ წერილობით ან პირადათ კომპარტიის ან ახალგ. კომკავშირის ტფილისის და სარაიონო კომიტეტების სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებების საშუალებით ტფილისის კომიტეტთან არსებულ თვითგანათლების დამხმარე ბიუროს.**

3. თვითეულ ამხანაგს, რომელიც თვითგანათლების საქმეშია ჩაბმული, შეუძლია მისწეროს ბიუროს წერილი და დაელოდოს პასუხს თავის შეკითხვებზე. რაც უფრო ვრცლად დაასურათებს თავის პიროვნებას წერილის ავტორი, სად სცხოვრობს ის, როგორია მისი განვითარება, ინტერესები, მოთხოვნილებები, მით უფრო სწორი იქნება პასუხი ბიუროდან.

შირაქის ნავთის საკითხი.

წინაიდან შირაქის ნავთის საკითხი გადაწყვეტილი არ არის, ჯერჯერობით მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. ნოემბერში ამოღებული იყო სულ 800 ფუთი ნავთი.

ხელოვნური [illegible] ქარხანა „[illegible]"-ი.

ქარხანაში სულ 6 მუშაა და 1 მოსამსახურე. აწარმოებს ხელოვნურის [illegible] გამოშვება. ქარხნის თვიური პროდუქცია [illegible] 800 ცალს სხვადასხვა [illegible].

ნედლეულის დამზადების კომიტეტში

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ნედლეულის დამზადების კომიტეტის სხდომაზე, 25 და 28 დეკემბერს, განხილულ იქნა სამი საკითხი: მატყლის სექციის ორგანიზაცია და მატყლის საქმეების შესახებ თათბირის მოწვევა, ნედლი ტყავეულობის მონოპოლია და მეაბრეშუმეობის საქმეზე თათბირის მოწვევა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გაჯინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ შარშან მატყლის დამზადების კამპანია არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა. ფასებმა, რომლებიც სეზონის დასაწყისში ნორმაზე დაბალი იყო, ბოლოს არანორმალურად აიწია. ამ მოვლენის მიზეზია დამზადებლების და ცხვრის პატრონთა ურთიერთობის მოუწესრიგებლობა. დასამზადებელ ორგანიზაციების სიმრავლე, დამზადება კერძო აგენტების საშუალებით და სხვა დეფექტები მომავალ კამპანიისთვის სრულიად უნდა მოისპოს.

კომიტეტმა ეხლა უნდა გადასწყვიტოს, რომელ დაწესებულებებს ან კოოპერატივებს მიეცეს მატყლის დამზადების ნება, მათ შორის ბაზრების რაიონებად დაყოფა, მტკიცე ფასების დადება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ საბჭოთა მრეწველობისათვის, რომელიც მეტად დაინტერესებულია მატყლის საკითხში. ყველა ამ საკითხების ყოველმხრივ განსახილველად საჭიროა მოწვეულ იქნეს თათბირი, დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების და ამ საქმის სპეციალისტითა თანდასწრებით.

კომიტეტის მიერ მიღებულია თათბირის შემადგენლობა, სადაც შედიან აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სხვადასხვა ორგანიზაციები. საქართველოდან შედიან: ცეკავშირი, წარმოკავშირი, „მწყემსი", „ბირლიკი", სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და მიწათმოქმედების კომისარიატი. გარდა ამისა თათბირში შედიან: „ცენტროსოიუზ"-ი, ა. კ. სავაჭრო სამმართველო და საზოგ. „შერსტ"-ი თათბირის მოწვევის ვადა დანიშნულია 20 იანვარს.

შემდეგ კომიტეტმა განიხილა საკითხი ნედლი ტყავეულობის მონოპოლის შესახებ, რომლის საფუძვლების გადასინჯვას თხოულობს რუს. „კოჟსინდიკატ"-ი. საჭირო ცნობების უქონლობის გამო, საკითხის განხილვა გადაიდო საქ. ტყავეულობის ტრესტისაგან ცნობების მიღებამდე.

მეაბრეშუმეობის საკითხის შესახებ კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნეს თათბირი 18 იანვარს. ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოდან ცეკავშირი და სახ. მიწათმოქმედების კომისარიატი.

მატყლის დამზადება საქართველოში.

1923 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე დამზადებულია მატყლი სულ 80 000 ფუთი. ამ რიცხვიდან დაამზადეს: ა. | კ. სავაჭრო სამმართველომ—30.000 ფუთამდე, ამხანაგობამ „მატყლ"-მა—15000 ფ., „ცენტროსოიუზ"-მა—10.000 ფ. საზ. „მწყემს"-მა—10.000, საზ. „ბირლიკ"-მა 8.000 ფ. ცეკავშირმა და წარმოკავშირმა—3 000 ფ. და სხვა ორგანიზაციებმა—4000 ფ.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი საფეიქრო მასალა.

სტოკჰოლმის სავაჭრო პალატამ ამ რამდენიმე ხნის წინათ მიიღო ქსოვილები, რომლებიც დამზადებულია ახლად აღმოჩენილი საფეიქრო მასალისაგან, რომელსაც „არგანი" ეწოდება. არგანის ქსოვილი აბრეშუმივით ბრწყინავს, განსაკუთრებით შეღებვის შემდეგ. არგანის ქსოვილები სელის ნაქსოვს წააგავს, მაგრამ უფრო რბილია, ვიდრე უკანასკნელი. თუმცა არგანი მრავლათ მოიპოვება სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ მისი იქიდან შემოზიდვა იმდენათ ძვირი ჯდება, რომ უფრო ხელსაყრელია მისი ადგილობრივ მოშენება. შვეციის მთავრობამ მალაის კუნძულებზე მცხოვრებთ გადასცა 30 000 აკრი მიწა ამ მცენარის მოსაშენებლათ, ინგლისის მთავრობას კი განზრახული აქვს ასევე მოიქცეს ინდოეთში და კუნძულ ცეილონზე. ინგლისის მრეწველობა ძლიერ დააინტერესა ამ ახალმა აღმოჩენამ და ერთ ყველაზე დიდ საფეიქრო ორგანიზაცია „Belfast Ropemork Company"—უკვე შეუდგა არგანიდან ბადეების, ბაწრების და სხვა ამგვარი მასალის დამზადებას.

რეზინის ქუჩები.

ლონდონის ქალაქის თვითმართველობამ შემოიღო ქუჩების მოკირწყვლის ახალი საშუალება. მოსაკირწყლავ მასალას ამ შემთხვევაში წარმოადგენს რეზინა. 1923 წელში რეზინით მოაგეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქუჩა —Borough-Hygh, სადაც ყველაზე დიდი მოძრაობა არის, ლონდონში უკვე დიდი ხანია სარგებლობენ რეზინით რიყულის ისეთ ადგილებზე დასაგებად, სადაც ყველაზე უფრო დიდი მოძრაობა არის, მაგალითად თეატრებთან, სასტუმროებთან, სადგურებთან. ამ საშუალებით ასუსტებენ ქუჩის ხმაურს და აურზაურს. ჯერჯერობით რეზინით დაგებულია ქუჩის ერთი ნაწილი, რაც საშუალებას იძლევა გამორკვეული იქნას რამდენათ გამძლეა ძველი და ახალი მასალა. ქუჩების დასაგებათ ხმარობენ პრტყელ, ორი სანტიმეტრის სისქის რეზინას.

როგორც ხანმოკლე გამოცდილებამ დაამტკიცა რეზინა, გამძლეობის მხრივ, სავსებით დამაკმაყოფილებელია—მას ისეთივე გამძლეობა აქვს როგორც ხეს, ქვას და სხვა მასალას. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამას გარდა რეზინით დაგებულ ქუჩებში ხმაურობას თითქმის სრულიად არა აქვს ადგილი, მაშინ ნათელი იქნება რომ რეზინას დიდი უპირატესობა აქვს სხვა მასალის წინაშე.

ახალი გამოგონება.

რუსეთის ქიმიკოსმა სერებრიანიმ გამოიგონა ახალი ხის მასალა, რომელიც სრულიად არ იჟღინთება წყალით. ახალი მასალა სიმაგრით კარგ ფოლადს შეედრება და ხეზე უფრო მსუბუქია. ამ მასით ხელსაყრელია ზოგიერთი მსუბუქი ლითონების, მაგალითად ალიუმინის შეცვლა. ამჟამად ახლად გამოგონილ მასაზე ახდენენ ცდებს ერთ-ერთ სახელმწიფო ქარხანაში—ახალი მასალის დამზადება ძლიერ იაფი ჯდება.

ქრონიკა

— **სანატორია „არაზანდო".** ახლო ხანში დამთავრდება საქ. პროფკავშირების სანატორიუმი „არაზანდოს" მოწყობა სანატორიუმში იქნება 200 საწოლი და მოწყობილი უკანასკნელი მიღწევებით ამ დარგში. მის სრულ დასამთავრებლად გადადებულია 160,000 მან. ჩერ.

— **ავადმყოფობა „ისპანკა".** აფხაზეთიდან მიღებული ცნობებით იქ ამ ჟამად მძვინვარებს ავადმყოფობა „ისპანკა". აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭომ ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში გადასცა საგრძნობი თანხა აღნიშნულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

— **საფოსტო მარკები.** ა.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გამოიმუშავა ახალი საფოსტო მარკები 3 კაპიკიანი (ოქროთი). ახლო ხანში გამოვა 2 კაპიკიანი.

— **ახალგაზრდათა ჯანმრთელობის შემოწმება.** 6 იანვრიდან ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო ქვე-განყოფილება დაიწყებს ყველა ახალგაზრდა უმუშევრების შემოწმებას ჯანმრთელობის მხრივ.

— **საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** სენაკის საგლეხო კომიტეტების ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩია: კალინინი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და კ. ხომერიკი. აგრეთვე ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები დაუგზავნა: ცეკას, ცაკს და სახ. კომისართა საბჭოს.

— **ვიქტორ თევზაიას წიგნი.** გამოვიდა ვ. თევზაიას წიგნი: „კერძო და საზოგ. მეურნეობა" ისტორიულ-ეკონომიური ეტიუდი. ჟურ. „კოოპერაციის" გამოცემა. ფასი 75 კაპ.

— **შტატების დამტკიცება.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე საბოლოოდ დაამტკიცა შრომის კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების შტატები.

— **შრომის ბირჟის გარეშე მიღებულების სამუშაოდან მოხსნა.** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის ბირჟას, შრომის ინსპექტორის მიერ აღმოჩენილ სამუშაოზე შრომის ბირჟის გარეშე მიღებული მუშა მოსამსახურე სრულებით მოხსნას სამუშაოდან და მის ადგილზე გაგზავნოს მორიგი უმუშევარი.

— **უფასო ბილეთები.** შრომის კომისარიატმა დაავალა ტფ. შრომის ბირჟას, რათა ყველა შრომის ბირჟებს და საკორესპონდენტო პუნქტებს დაუგზავნოს რკინის გზის უფასო ლიტერები უმუშევართა სამშობლოში გასაგზავნათ.

— **დახმარება.** დაევალოს სოც. დაზღვევის სამმართველოს გაიღოს ერთგვარი თანხა შრომის ბირჟების მოსამსახურეთა დასახმარებლათ, რომელნიც ეწევიან ზედმეტ მუშაობას შრომის დაზღვევის საქმეების წარმოების დროს.

— **ფრენა.** კვირას, 6 იანვარს ჰაეროდრომზე შესდგება ფასიანი ფრენა გარეშე პირთათვის ჰაეროპლან „იუნკერსით".

— **ჩერვონცებზე გადასვლა.** 1 იანვრიდან დამზღვევი კასა ყოველგვარ პენსიებს და დახმარებას გასცემს ჩერვონცების ანგარიშით.

— **შრომის ბირჟა.** 4 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა —17 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა — 50, სამუშაოზე გაიგზავნა—64, მოთხოვნილება იყო—81.

— **გასაჩივრება.** იმ უმუშევრებს, რომელნიც მოხსნილ იქნენ აღრიცხვიდან, შეუძლიათ გაასაჩივრონ შრომის ბირჟის სამდივნოში გამწმენდ კომისიის სახელზე.

— **შვებულება ავადმყოფობის გამო.** დამზღვევ კასამ წინადადებით მიმართა რაიონულ ამბულატორიის ექიმებს, რომ ავადმყოფობის გამო შვებულება მოსამსახურეთ უნდა მიეცეთ არა უმეტეს 2 კვირისა.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორია

ბრონის და რეიმანის კონცერტი.

სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული იყო სახელმწიფო ოპერის კაპელმეისტერის ონისიმე ბრონის და პიანისტ ქალის რეიმანის ფორტეპიანოს დუეტების საღამო.

ასეთი კონცერტები მოითხოვენ არა მარტო დიდ პიანისტურ ნიჭს, არამედ დიდ შრომასაც და მუსიკალურ ერუდიციას; მათ მაშინ აქვთ დამთავრებული და ინდივიდუალური შესრულების ხასიათი, როდესაც შემსრულებლების მიერ მიღწეულია სამაგალითო ანსამბლი და როდესაც დინამიკა შესრულებაში აყვანილია უმაღლეს წერტილამდე. ამის გარეშე შესრულებას არ ექნება მხატვრული ხასიათი.

ყველა ეს გარემოებები, როგორც სჩანს, წინდაწინვე ჰქონდათ გათვალისწინებული შემსრულებლებს და ორივე პიანისტი პროგრამის უმეტეს ნაწილში თავის თავზე აღებულ პასუხისმგებელ ამოცანის სიმაღლეზე იდგნენ.

შესრულებული იყო ფორტეპიანოს დუეტის მთელი რიგი ნაწარმოებებისა: ბეტხოვენის სონატა სენ. სანსის მიერ დამუშავებული ორი ფორტეპიანოსათვის. აქ, გარდა სამაგალითო ანსამბლისა და კარგ დინამიკისა (ნიუანსიროვკა), დაცული იყო ბეტხოვენის აკადემიური სტილი.

არენსკის სონატაში ყველაზე უკეთესად იყო შესრულებული მეორე ნაწილი—ვალსი. პოლონეზში კი პირველ ფორტეპიანოს შესრულებაში ხანდახან არ იყო არც დამთავრებული დინამიური დასურათება და არც მუსიკალური ფრაზა.

პარაფრაზი შუმანის მუსიკალურ პოემა „მანფრედ"-ზე—შესრულებული იყო დამთავრებულათ. კარგათ იყო შესრულებული რახმანინოვის მეორე სონატაც.

სენ-სანსის მუსიკალური პოემა „სიკვდილის ცეკვა" საერთოდ კარგად იყო შესრულებული, მაგრამ [illegible] უფრო მეტი სილამაზე და ტემპერამენტი პოემის შინაარსის [illegible] ადგილებში.

კონცერტმა [illegible] საზოგადოება მიიზიდა და ორივე შემსრუ-

მუშათა ცხოვრება

სამხედრო ხე-ტყის ქარხანა

ამ ქარხანაში რომელიც ეკუთვნის „ოკა“-ს მთავარ სამართველოს, წარმოება ვერ არის თავის დონეზე დაყენებული. 1923 წლის განმავლობაში მას საკმაო დეფექტები ახასიათებს, რომელიც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს მისი წარმოების ნაყოფიერებაზე. საქმე შემდეგშია. ხე-ტყის მასალის შეძენა, რომელიც ხდება ახალციხის მხარეში ვერ არის წესიერად მოწყობილი, ვერ სრულდება ხეირიანად და სასარგებლოდ. სამი მეოთხედი ქარხნისათვის იქიდან შეძენილი მასალა გამოდის უვარგისი. წინა წლებში ამ მხრით შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. მასალა, რომელიც გამოსადეგი და უვარგისი მოიპოება ქარხანაში მთლიანად სჭირდება „ოკა“-ს მთავარ სამართველოს მოთხოვნილებებს—მისი სხვადასხვა სამხედრო უწყებების საჭიროებისათვის. ქარხანაში რჩება დიდი წილი მხოლოდ უვარგისი მასალისა. ის გამოუსადეგარია კერძო ბაზრისათვის; მას არავინ ყიდულობს და, მაშასადამე, ქარხანას არსაიდან სხვაგანაც სახეირო შემოსავალი არა აქვს. ამ გარემოებამ წარმოშვა ის, რომ 1) ა. წ. 15 ნოემბრიდან შემოკლებულ იქნა ქარხანაში მომუშავეთა შტატი; 2) საგრძნობლად იგვიანებს მუშა მოსამსახურეებისათვის ხვედრი ჯამაგირების დარიგება და სხვა. ამასთანავე უკანასკნელ ხანებში „ოკა“-ს მთავარი სამართველო ქარხანას ძალიან დიდ შეკვეთებს აძლევს ხე-ტყის მასალისას. ამის შესრულებისათვის არ იკმარა დარჩენილმა შტატმა მუშებისამ. იძულებული შეიქნენ კვლავ მოეწვიათ შრომის ბირჟიდან ის უმუშევარნი, რომელნიც შტატ გარეშე დარჩნენ. ესენი დღიურად არიან დაქირავებული. წარმოების არანაყოფიერების დანახვამ აიძულა „ოკა“-ს სამმართველო შეემცირებია მუშათა შტატი ქარხანაში და მიეცა მათთვის სალიკვიდაციო ფული, იგივე მუშები ისევ საჭირო შეიქნა და დღიურის ანგარიშით დაიქირავეს. აქ ერთის მხრივ ადგილი მიეცა მომუშავეთა გაწვალებას და მეორედ, მას მოდის შედარებით ზედმეტი ხარჯები, როგორიცაა დათხოვის დროს მუშებისათვის სალიკვიდაციო ფულის მიცემა და სხვა.

მთავარი მიზეზი ყველა ამ დეფექტებისა არის ის, რომ მოდის ადგილიდან ძალიან ბევრი უვარგისი მასალა. ამას უნდა მიაქციოს „ოკა“-ს მთავარმა სამმართველომ ყურადღება; საჭიროა ადგილობრივად ხე-ტყის მასალის დამამზადებელ თანამშრომლებს მიეცეთ დარიგება, რომ შეძენილ იქნას კარგი ხარისხის მასალა.

მაშინ გარდა სამხედრო უწყებათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა. ქარხანას დარჩება ბაზრისათვის უვარგისი მასალა, რომელიც მას მისცემს შემოსავალს და ფეხზე დააყენებს მის წარმოებას.

მუშკორი **ჩხმელი.**

აღმაშფოთებელი სიმხეცე

(არსენალის მუშათა ფაბკომის და საქალებო განყოფილების საყურადღებოდ.)

19 დეკემბერს, ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მე სახლში ვბრუნდებოდი და როგორც კი დაუპირდაპირდი კრასნაგორსკის ქუჩაზე სახლის № 18, ამ ეზოდან ერთი წივილ-კივილი და უშვერი პირით ლანძღვა-გინება შემომესმა; გამოირკვა, რომ ამ ეზოს მცხოვრები არსენალის მუშა ვიქტორ ბენდიაშვილი სრულიად უმიზეზოთ სცემდა თავის ცოლს და აწიოკებდა წვრილშვილს. ამ შეუგნებელ მუშისაგან ეს პირველი მაგალითი არა ყოფილა. თითქმის 4—5 წელიწადია, რაც ის ამ საზიზღარ ხელობას სისტემატიურად, ეწევა და დანითა და იარაღით ამოწყვეტას უქადის თავის ცოლშვილს. ჩვენ არა გვგონია, თუ სადმე კიდევ მოიპოვებოდეს ამის ბადალი, როგორც ეს ვიქტორ ბენდიაშვილია. ის არც ადმინისტრაციას უწევს ანგარიშს და განაგრძობს უმწეო ცოლშვილზე თავდასხმას და თუ დროზე არ [illegible] ლაგამი ამ ალვირწახსნილ [illegible] კაც-მხეცს, მოსალოდნელია, [illegible] რომ ცუდი შედეგი მოჰყვეს. ამისთანა ვიგინდარებს სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს პატიოსან მუშათა შორის და მან თავის ადგილი უნდა მიიჩინოს: ან გამოსწორება, ან და სამუშაოდან მოხსნა, რომ სხვასაც არა სცხებდეს ის ჩირქს თავის უმგვანო საქციელით. ჩვენ სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ არსენლის მუშები ვიქტორ ბენდიაშვილის უზნეობის ყურადღებას მიაქცევენ და მას შესაფერისად დასჯიან.

მუშკორი თვალი.

ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს

(განათლების კომისარიატის და ქართულ მუშფაკის სტუდ-კომის საყურადღებოდ)

ყველას მოეხსენება, თუ რა დანიშნულება აქვთ მუშფაკის მსმენელებს მომავალში. თვით მსმენელებიც გრძნობენ ამას და იციან თავის დანიშნულება, რის გამოც დიდი ინტერესით არიან გამსჭვალულნი, რომ დავალებაც თავისი მზრუნველის, საბჭოთა ხელისუფლების პირნათლად შეასრულონ.

ეხლა მინდა ავღნიშნო ის ნაკლი რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში, 1 პარალელურ და 1 ძირითად ჯგუფებში. ხსენებულ ჯგუფებში კვირა არ გაივლის ისე, რომ ლექტორები არ აკლდეს. 1 პარალელურ ჯგუფში, სადაც მე ვარ, 2 თვეა რუსული ენა არ ყოფილა. აგრეთვე არ ყოფილა შაბათობით დანიშნული 2 გაკვეთილი საბჭოთა აღმშენებლობაზე. ლექტორებად დანიშნული არიან სხვადასხვა საქმეებით დატვირთული ამხანაგები მათ არა აქვთ საშუალება იმეცადინონ ჩვენთან; ამისათვის მივაქცევ რასტუდკომის ყურადღებას ამ გარემოებას, რომ ზემო აღნიშნული ნაკლი სასწრაფოდ იქნას გამოსწორებული. ყოფილი ლექტორს უნდა ახსოვდეს, რომ როგორც თევზისათვის აუცილებელია წყალი, აგრეთვე მუშფაკის მსმენელთათვის [illegible] აუცილებელია საბჭოთა [illegible] პოლიტიკურ ეკონომიური ცოდნა, რაც უნდა შეეზარდოს მოსწავლე მუშებს სისხლხორცში.

მუშკორი გ. დოლიძე.

გინახავთ უსინათლობა ლამპებიან ქუჩებზე?!

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ასეთი მდგომარეობა არის ზავოდენიის შესახვევში: ეს ქუჩა იწყება ფუნიკულიორის დაბლა სადგურიდან; მიჰყვება ახლად გაყვანილ ტრამვაის ლიანდაგს და 50-მდე საჟენის შემდეგ თავდება ერმალოვის ქუჩის ბოლოთი. თითქოს ყველაფერია, რომ ეს ორი გოჯა ქუჩა განათებული იყოს ღამეობით; არის ტრამვაის ხაზი, არის მისივე ბოძები, არის ორი ლამპაც. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს ლამპები არ ანათებენ სინათლე კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მივარდნილ კუთხისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს ქუჩა ისაზღვრება დაუსახლებელ მთის კალთებით, ადვილად წარმოსადგენია, რომ ბოროტმოქმედების აჩრდილი მგზავრს იქ ყოველთვის თან დასდევს. 31 დეკემბერს უსინათლობის გამო აქ უბედურებასაც კი ჰქონდა ადგილი. იმავე ქუჩაზე სახლი № 3-ში მცხოვრებ მოხუც ქალმა ვეღარ გაარჩია ღამე ხრამი, გადაეჩეხა შიგ და მძიმედ დაშავდა.

აქ კი საჭიროა სულ ორი ლამპის სინათლე. ერთი მათგანი იმავე დროს ერმალოვის ქუჩასაც გაანათებს ორივე კი მთელ ქუჩას, რომელზეც მოძრაობა ამ ჟამად დღითი-დღე იზრდება. აღმასკომო, მოაყარე სიკეთის მარილი. ლიანდაგის გაყვანით გაგიცოცხლებია კუთხე, გაუშვი, სინათლეც ორი, მხოლოდ, ორი არსებულ ლამპ სათვის!

მუშა—გოგინძ.

მუშათა ქრონიკა.

კიდევ მოგვემატნენ [illegible] მუშკორები.

— **მებეჭდავთა ქალ. მეორე რაიონის საერთო კრებაზე.** ჩვენი გაზეთის მუშკორად არჩეულ იქნა ამხ. სირაძე ალექსანდრე, რომელიც უკვე გამოცხადდა რედაქციაში.

— **გამასწორებელი სახლის № 1** მუშა მოსამსახურეებმა ჩვენი გაზეთის მუშკორად აირჩიეს ამხ. ადამია დომენტი.

ლებელს მხურვალე ოვაციებით შეხვდენ.

შ. ზიბუტ[illegible]ვი.

— **ახალი პიესა.** [illegible] ჯანმრთელობის კომისარიატის [illegible] ნ. ა. [illegible] დავალებით მსახიობ [illegible]ციძემ დასწერა სანიტარულ განათლების ხასიათის ახალი პიესა „უჩინარი მტერი“ ტუბერკულიოზის წინააღმდეგ, რომელიც ამ დღეებში დაიდგმება სანგანათლების სახლის თეატრში

— **წარმოდგენა უმუშევრების სასარგებლოთ.** 10 იანვარს სანიტარულ განათლების სახლის თეატრში რეჟისორ [illegible]ჯალოვის და დიმოვის მიერ დადგმულ იქნება წარმოდგენები მედიკსანშრომის კავშირის უმუშევრების სასარგებლოთ.

— **„ბარრიკადები“-ს გამოსვლა.** დღეს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „ბარრიკადი“-ს ტიციან ტაბიძის რედაქტორობით. გაზეთში მოთავსებულია წერილები: პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, შალვა აფხაიძის, ალი არსენიშვილის, ვარამ გოგელისა და სხვების: ლექსები: გრიგოლ რობაქიძისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა, ტიციან ტაბიძისა, შალვა აფხაიძისა, რაჟდენ გვეტაძის, გ. ლეონიძისა, გრ. ცეცხლაძისა, ნინო თარაშვილისა და ს ვალერი ბრიუსოვის პორტრეტი და ქრონიკა.

— **ქ. გამსახურდიას მოხსენება.** სამშაბათს, იანვრის 8-ს პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში ქ. გამსახურდია წარმოსთქვამს სიტყვას: ლიტერატურული პარიზი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება კონსერვატორიაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **კონკურსი ახალ ქართულ პიესებზე.** ქართველ მსახიობთა კავშირმა გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი ახალ ქართულ პიესებზე, განსაკუთრებული პირობებით.

— **შამილი ეკრანზე.** ტიციან ტაბიძე ამზადებს სცენარის შამილის ცხოვრებიდან ლენტზე გადასაღებათ.

— **საბავშვო თეატრი.** დღეს, სახელმწიფო საბავშვო თეატრში წარმოდგენილი იქნება საბავშვო პიესა: „ჯადოსანი წკეპლა“. დასაწყისი დღის 12 საათზე.

პროვინციაში

კავთისხევის თემი (გორის მაზრა)

(მთავარ მილიციის სამმართველოს საყურადღებოდ)

კავთისხევში, სადაც ოთხი თვის წინათ რაიონული მილიცია იდგა, ამ ჟამად მხოლოდ ორი მილიციონერი-ღა დარჩა მთელ რაიონისათვის. ისინი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. საზაფხულო და ისიც გაცვეთილ ხალათის, შარვლის და დახეულ ფეხსაცმლების ამარა არიან დარჩენილნი ამ შუა ზამთარში. სამსახურს ბეჯითად ასრულებენ, რაც კი აქვთ დაკისრებული; წარმოიდგინეთ, კავთისხევიდან აგზავნიან მათ დრო გამოშვებით ადგილობრივ აღმასკომის დავალებით 25—30 ვერსის მანძილზე, თოვლიან და გაუვალ მთებში; რა დიდ გაჭირვებაში უნდა იმყოფებოდნენ ეს ერთგული მოსამსახურენი საბჭოთა ხელისუფლებისა.

იქნება ოთხი თვე, რაც ჯამაგირები არ მიუღიათ და დაპირებული შინელები მაზრიდან ისევე დაპირებად დარჩა. საჭიროა ამაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან სიციე-სიტიტვლის გარდა ხშირად ითმენენ შიმშილსაც, როგორც ნახევრათ პროლეტარი გლეხები.

ამ ბოლო ხანებში მილიციის ძალაზე შტატის შემცირების შემდეგ კავთისხევში, ღამ-ღამე იკარგება შინაური ფრინველები და ქურდების ბრბოები უშიშრად დათარეშობენ; იციან, რომ ზემოაღნიშნული ორი მილიციონერი (სიმცირის გამო) დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ.

საჭიროა დაარსებულ იქნას ხელახლა კავთისხევის რაიონული მილიცია ძველი შტატით და დაბრუნებულ იქნას ის ექვსი ცხენი ახალ-ქალაქის რაიონის მილიციისაგან, რომლებიც ნაყიდი ყავთ მთელ კავთისხევის თემის მცხოვრებლებს.

გოგი კავთურელი.

ხოთის თემი (ზუგდ. მაზრა)

ხოთის თემში არის ერთი სოფელი, რომელსაც ეწოდება თორსა. ეს სოფელი დაშორებულია თემის ცენტრს ოთხი ვერსით. ამ სოფლის გზები ისე წამხდარია, რომ თუ ერთი მოწვიმა, არავის შეუძლია გაიაროს ამ შარა გზით.

ამ სოფელში იყო გახსნილი ერთი სახაზინო სკოლა შემდეგ ეს სკოლა დარჩა შტატ გარეშე. საზოგადოებამ იკისრა მისი შენახვა თავისი ხარჯით. დაიქირავეს კერძო მასწავლებელი და არ შეუწყვეტიათ სკოლაში მეცადინეობა.

ბოლოს მოინდომეს სკოლისათვის საკუთარი შენობის შეძენა. მაგრამ როდესაც ამაზე მიდგა ჯერი, მაშინ ჩამოვარდა უთანხმოება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ზოგს უნდოდა ერთ ადგილზე, ზოგს მეორეზე და ამან მეტის-მეტად შეაფერხა საზოგადოებაში მუშაობა. ამ საქმის მოსაგვარებლად 1922 წ. ჩამოვიდა ზუგ. მაზ. სახ. განათ. [illegible] გამგე ამხ. როდონაია, მაგრამ [illegible] მან მოაგვარა ეს საკითხი და [illegible] ჯგუფმა იწყო ცალ-ცალკე მუშაობა. მართლაც, ორივე მხარემ ააშენა სასკოლო შენობა, მასწავლებლებს ცალ-ცალკე აძლევდენ ჯამაგირს. 1923 წელს ერთმა მხარემ, ე. ი. სადაც მეცადინეობა წარმოებდა 1919 წლიდან და მოწაფენი დაახლოვებით 48-მდი იყვნენ, ააშენა შენობა იქ, სადაც თხოულობდა მთელი მცხოვრებთა უმრავლესობა და რომელიც იცნო კანონიერად ადგილობრივი თემის საბჭომ და წარუდგინა განათლების განყოფილებას.

მცხოვრებლებმა ითხოვეს სკოლის შტატში ჩარიცხვა და სახაზინოთ მასწავლებლის გამოგზავნა. განათლების გამგე ამხ. ლაგვილავა დაპირდა მცხოვრებთ და აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარეს ჯგერენაიას, როგორც შტატი გაიხსნება, მაშინათვე მოგცემთ სახაზინო მასწავლებელსო. მე-2 ჯგუფმაც გააკეთა სასკოლო შენობა, რომელმაც ცალკე დაიწყო თხოვა მასწავლებლის, მაგრამ ორივე მხარე დარჩა დაუკმაყოფილებელი. როგორც სხვაგან, ისე აქ, თორსაშიც, იქნა ორივე სკოლაში დანიშნული მასწავლებელი სავსებით ადგილობრივი—საშუალებით. ასეთი დანიშვნა არც 1-ს და არც მე-2 სკოლის მომხრეებისათვის არ იყო სამხიარულო. პირველ სკოლაში დაახლოვებით ირიცხება 48 მოწაფე და მე 2-ში 31-მდი. მაგრამ რადგანაც სხვა გზა არ იყო მცხოვრებლებმა მოკიდეს ხელი ორივე მასწავლებელს. მცხოვრებთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 150 კომლს. გაიმეტეს უკანასკნელი ლუკმა, რომ არ დარჩენილიყო სკოლის გარეშე ის ახალგაზრდობა, რომლისთვისაც შეუძლებელი იყო სხვაგან სკოლებში შესვლა. სხვადასხვა მიზეზებს გამო, სკოლებს ინახავს საზოგადოება, ე. ი. ორი მასწავლებელს 150 მცხოვრები. აგერ სამი წელიწადი სრულდება. განყოფილებიდან დაპირებაა, რომ იანვრიდან ჩაირიცხება სკოლა შტატში, რის შემდეგაც მოგეცემათ სახაზინო მასწავლებელიო, მასწავლებელს გარიგებული ყავენ იანვრამდი. იანვრის შემდეგ თუ სკოლა შტატში არ იქნა ჩარიცხული, უსათუოდ ხელს გაუშვებს საზოგადოება ამ სკოლებს, რომელთაც არსებობა ამ სკოლაში წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

თუ კი აქ სკოლა დაიხურება, ეს იქნება მეტის-მეტი და უსამართლობა საზოგადოების. ისეთ პატარა კუთხეს, როგორც არის ეს სოფელი, შეეძლო ორი სასკოლო შენობის აგება, როდესაც სხვაგან, ბევრ ალაგას ერთიც არ არის აშენებული.

საჭიროა ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილებამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და დროზე მიიღოს შესაფერი ზომები.

ა. ივლიანიშვილი.

მენშევიკის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომეცით განვაცხადო შემდეგი: მიუხედავათ იმისა, რომ წინად მტრულად ვიყავი განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ვეწეოდი ერთგვარ საწინააღმდეგო მუშაობას—სრულიად შეგნებულად თავს ვანებებ საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიის წევრობას, რადგან ვრწმუნდები, რომ ყოველგვარი ცდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, მხოლოდ ხელს უშლის საქართველოს კულტურულ აყვავებას, რომლისთვისაც მოწოდებული ვარ მთელი არსებით.

ნინო ძიძიგური.

28 დეკემბერი 1923 წ.
ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ტ. კ. საორგანიზაციო განყოფილება** იუწყება, რომ ასურეთ—ალბულაღის რაიონის გამომკვლევი კომისიის სხდომა მოხდება ორშაბათს, საღამოს 5 საათზე ტ. კ—ის საორგანიზაციო განყოფილებაში.

სავალდებულოდ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები (კომისიის წევრნი) კუკულდავა, დანელია, ლეჟავა ვ. (აღმასკომიდან), აზრუმელაშვილი, გაგნიძე და მ. სარქისოვი კომ. ახალ. კავშირიდან)

ტ. კ. საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგიერ
ტერ-კარაპეტოვი.

— ორშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 9 საათზე დანიშნულია ს. კ. პ. ტ. ო
ცენტრალურ პარტიულ კლუბის გახსნა.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, მუშკოოპის ბინა.
შესასვლელ ბილეთებს განაწილებენ საუბნო კომიტეტები.
ტფ. კომიტეტის მდივანი რუბენი.
საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— **ს. კ. პ. ტ. ორგ. ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება** იუწყება, რომ ორშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფილი საბჭოს დარბაზი) მოწვეულია დელეგატ ქალთა კრება ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

სავალდებულოა დასწრება ყველა დელეგატ ქალებისა და ქალთა ორგანიზატორებისა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

— დღეს, 6 იანვარს 1924 წ. შუადღის 12 საათზე, **ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების** ბინაზე მოხდება **პოლიტცოდნის სკოლათა ხელმძღვანელების თათბირი.**

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: დივნოგორცევი, როხლინი, პანტელეევი, მეტრეველი, მიქაძე, ბუხნიკაშვილი, ზილბერმიანცი, გრიშჩენკო, ბაშინჯაგიანი, იოვიძე, ხარმანდარიანი, ზედანოვი, შირვანსკი, პოლოსინი, ტერ-არუტიუნოვი, სტანსკი, სალარიძე, კარაულიანი, ვოლენსკაია და კუზმინა.

დღის წესრიგი:

1. სკოლების პროგრამა, 2. სახელმძღვანელოები, 3. მეცადინეობის მეთოდები, 4 მიმდინარე საქმეები.

ტფ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მაგიერ
ა. პენიაკოვა.

— ორშაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ც. კ—ის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი: განათლების სახალხო კომისარიატისა, პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებისა, ახალგ. კომუნ. კავშირის ც. კ—ტისა, ტფ. კომიტეტისა, რკინისგზელთა პროფკავშირის კულტ-განყოფილებისა, სტუდენტთა კომიტეტის თავმჯდომარენი, კომუჯრედთა მდივნები, ქართულ, რუსულ და რკინისგზელთა მუშათა ფაკულტეტების ახალგ. კომუნ. კავშირის წარმომადგენელნი და ამხ. იოვიძე.

ვთხოვთ არ დაიგვიანონ. დღის წესრიგშია: მუშათა ფაკულტეტების მდგომარეობა.

ც. კ—ის სააგ.-საპრ. განყ. გამგე კვირი[illegible].

პროფკავშირული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ორშაბათს, 7 იანვარს, 6 საათ., ქართულ ენის მასწავლებელთა წრეში კომისიის მიერ შედგენილ ხატვის პროგრამების გარჩევა.

— საღ. 7 საათ. სომხურ ენის მასწავლებელთა წრეში ა. ნ. კაზარიანის ცნობა ახალი სახელმძღვანელოს შესახებ: „კარმირ არევ“ მე-4 ნაწ.

— საღ. 5 საათ. 45 წ. სომხურ ენაზე მათემატიკური წრის სხდომა.

— ოთხშაბათს, 9 იანვარს, საღ. 7 საათ. „თვითმართველთა“ წრეში ო. მალოჟავის ცნობა „49 სკოლის ცდა“.

— საღ. 8 საათ. რუსულ ენაზე საზოგადოებრივ მეტყველების წრეში მოხსენება, კოზლოვის, ტერ-გუკასოვის და ვასელოვსკისა.

სახლის გამგე შიუკაშვილი.
საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

4—5 დღის ავადმყოფობის შემდეგ 1923 წ. 31 დეკემბერს სენაკის სამაზრო საავადმყოფოში უდროოდ გარდაიცვალა

გულიკო ბელქანიას ასული
ჩაკვეტაძისა

რომლის დასაფლავება მოხდა ა. წ. 4 იანვარს, რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მიცვალებულის გულიკოს მეუღლე ვანო და დაი ნადია.

1—1

მშობლები ლევანტი და ირინე, მეუღლე ნინო პატარა რევაზით, და-ძმა გიორგი და მაშო ებრალიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასი

ილიკოს

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ლანჩხუთში, კვირას—6 იანვარს

№ 362—1—1

ანეპოტისტე ნესტორისძე ჯაფარიძე და დები მისი, აცნობებენ ნაცნობთა და მეგობრებს, რომ კვირას, 6 იანვარს, ამა წელს, დილის თერთმეტ საათზე, დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ნიკოლოზის სასაფლაოზე, ახლად გარდაცვალებულ მათი დედისა

ანნა ჯაფარიძისა

353—2—2

სახელმწიფო
ოპერა
1924 წელი

დღეს, 6 იანვარს
ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა
რის გამო წარმოდგენები არ იქნება.
ხამშაბათს, 8 იანვარს დაისი
ოთხშაბათს, 9 იანვარს პიკის ქალი
ხუთშაბათს, 10 იანვარს ბოჰემა

ნის. 818 4—3

ტფილისის აღმასკომი

ამით აცხადებს, რომ ყველა მანდატები, როგორც ძველი შემადგენლობის მე-3-მე მოწვევის საბჭოს, აგრეთვე აღმასკომის წევრებისა

ითვლება გაუქმებულად

რწმუნებულების ვადის გათავების გამო.

გაუქმებულად ჩაითვალოს აგრეთვე დროებითი მანდატები, რომლებიც მიეცა ახალი შემადგენლობას (მე-4-ე მოწვევის) ტფილისის საბჭოს. ამისათვის ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ტფილისის მე-3-მე მოწვევის საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს ძველი მანდატები ჩააბარონ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) [illegible] 10 იანვრამდე. მე-4-ე მოწვევის საბჭოს და აგრეთვე აღმასკომის ახალ შემადგენლობის წევრების მუდმივი მანდატების გაცემა სწარმოებს 5—საათიდან ვიდრე საღამოს 9 საათამდე ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, სამდივნოში (ოთახი № 5). აქვე სწარმოებს აწერა საბჭოს წევრებისა სექციაში.

პრეზიდიუმი. ნის. 819—5—2

გამოვიდა და იყიდება ყველა კიოსკებში და ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებთან როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს გამოცემა-ალბომი

„1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“.

ალბომი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 92 გვერდს და მოთავსებულია შიგ სურათები, მოგონებანი და ბიოგრაფიები 88 დაღუპული რევოლიუციონერის შესახებ.

შინაარსი:

(სურათები, მოგონებები, ბიოგრაფიები)

1) მკითხველებს, 2) დაღუპულ რევოლიუციონერთა სურათი—იჯგუფი, 3) ნინოშვილი ეგნატე, 4) კეცხოველი ლადო, 5) წულუკიძე საშა, 6) ჩოდრიშვილი ზაქრო, 7) მონტინი პეტრე, 8) სპანდარიანი სურენ, 9) ბოჭორიძე მიხო, 10) დავიდოვი მიშო, 11) თელია გიორგი, 12) გოლდავას ასული ფაცია, 13) კალანდაძე ვანო, 14) ლომინაძე ელისე, 15) ცინცაძე იესე (პეტრე), 16) ჯუღელი გიგო, 17) კალანდაძე ბესარიონ, 18) კნუნიანი ბოგდან, 19) სტურუა ვასო, 20) ჯუღელი სევერიანე, 21) მეგრელიძე იასონ, 22) ჯაფარიძე არჩილ, 23) ლომთათიძე პოლო, 24) კალიძე მინა, 25) ჩიჩივა კოსტა, 26) ებრალიძე იოსებ, 27) ქიქინაძე ქიქია, 28) კუჩუევი მიშო, 29) სულხანიშვილი კოლი, 30) კიკნაძე მიხა, 31) შევარდნაძე დათიკო, 32) იმნაიშვილი გერმანე, 33) გორდეზიანი აკაკი, 34) ინწკირველი ვანო (სტეპკო), 35) ჯორჯიაშვილი არსენ, 36) თალაკვაძე პანტელეიმონ, 37) პიშკინის ასული ალექსანდრა (შურა), 38) ქვლივიძე ილიკო (ზაქრო), 39) ლორთქიფანიძე კოლია, 40) რედაქციისაგან, 41) ნინიძე იპოლიტე, 42) მინდიაშვილი ნიკა, 43) ელიავა გიორგი, 44) ბურჯულაძე ს., 45) ვასერის და მარცვალოვის ხსოვნას 46) ქოქიაშვილი ილიკო, 47) კალანდაძე პეპიკო, 48) მერკვილაძე იფრასიონ, 49) დუმბაძე ვასო, ბაქრაძე ვალიკო, 50) ივანიძე სილოვან, 51) მიკატაძე ლეონსაბ, 52) ვადაჭკორია ასალო, 53) კალიძე გერონტი, 54) მამაცოვი გარსო, 55) ლეჟავა პროკოფი, 56) არავიაშვილი იოსებ, 57) ელიავა ესტატე, 58) მაღრაძე თედო, 59) ხარსელი გიორგი, 60) გულდედავა დომენტი, 61) თვარაძე ვასო, 62) მეტრეველი გლახუა, 63—88) მაღრაძე ვ., ხომერიკი გ., შავიძე ი., რევაზიშვილი დ., ბერიძე ი., შველიძე თ., კაკრიაშვილი თ., პუმპურიძე ი., პუმპურიძე ს., მიქაბერიძე პ., სვანიძე ი., არჩვაძე დ., გაჩეჩილაძე ლ., ტაბატაძე ა., გაჩეჩილაძე გ., ფარჯანაძე კ., კოპორიაშვილი კ., ოდიშაშვილი კ., ზარიძე მ., ჯანანაშვილი ქ.

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობა.
(4—2) უფ.

საქართველოს ს. ს. რ. განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 10 იანვარს დილის 11 საათზე, კომისარიატის სადგომში, ოთახში № 25 (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) ხელმეორედ დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი შეჯიბრება

კომისარიატის საბავშვო დაწესებულებათათვის (ტფილისში) 1924 წლის განმავლობაში ხორცის მიწოდების (13—20 ფუთამდე ყოველდღე) უფლების იჯარით გაცემის შესახებ. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ შეჯიბრების დღისთვის საწინდარი—30 ჩერვონცამდე, ან სიმტკიცის სიგელი უძრავ ქონებაზე, შემოწმებული ტფილისის ნოტარიუსისგან.

პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე 12-დან—3 საათამდე, განათლების კომისარიატის განმანაწილებელ განყოფილებაში. 358 2—1

ამინდი ამიერკავკასიაში

4 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

სოხუმში.. 8 გრ.. ფოთში... 10 გრ., ბათომში... 9 გრ., სამტრედიაში... 8 გრ., ქიათურაში... 8 გრ., მუხრანში... 6 გრ., ბორჯომში... 2 გრ., ბაქოში... 6 გრ. (ქუთაისიდან, ახამეთიდან, წიფიდან, მუხრანიდან, ველისციხიდან—ცნობები არ არის მიღებული)

ღრუბლიანობა: მუხრანში და ერევანში მეტად საგრძნობი, დანარჩენ ადგილებში სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—სამხრეთ—აღმოსავლეთის, ნელი; ტფილისში ჩრდილოეთის, ნელი; ბაქოში—ჩრდილოეთ დასავლეთის, ზომიერი; დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: ნელი წვიმები სოხუმში, ფოთში, ბათუმში, სამტრედიაში ბო[illegible]რჯომში და ერევანში.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში, ბათომში, ბაქოში, ლენკ[illegible] —სიწყნარეა.

ამინდი საქართველოში.

ცვალებადი ღრუბლიანობა, ს[illegible] შრალე. ალაგ-ალაგ ნალექი. აღმოსავლეთ-საქართველოში—ჭყინავს.

ჩრდილოეთ კავკასია.

4 იანვარი, დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა:—3 გ[illegible] მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-და[illegible]ვლეთის ნელი ქარი, ღამით წვიმ[illegible]

კიზლიარი. ტემპერატურა: 2 გრ. მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ტფილისი

5 იანვარი, დილის 1 საათი.

ტემპერატურა: 7 გრ., სრუ[illegible] ღრუბლიანობა ქარი არ ქრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭველ მოქალაქეთა საყურადღებოდ

რათა თავიდან აცილებულ იქნეს ის საგრძნობი ზარალი, რომელსაც იღებენ ფულის კურსის ცვალებადობით ერთის მხრით ტფილისში ჩამოსული რაჭველ მოქალაქენი და მეორეს მხრით, რაჭის კოოპერატივები ბონების გადაგზავნ-გადმოგზავნის გამო,

ცეკავშირის გამგეობა

ამით აცხადებს მათ საყურადღებოთ, რომ

ცეკავშირი იღებს რაჭველ მოქალაქეთაგან რაჭაში გადასაგზავნ

ფულს

(ბონებს) დღის კურსით იმ კოოპერატივის ანგარიშში, რომლის რაიონშიაც ფულის გამგზავნი ცხოვრობს. ამასთანავე ფულის შემომტანს მიეცემა ცეკავშირისაგან სათანადო საბუთი, რომლითაც ცეკავშირის სალაროში შეტანილი თანხა განაღდებულ იქნება დღის კურსის მიხედვით იმ კოოპერატივისაგან, რომლის ანგარიშშიაც იგი შეტანილია ცეკავშირში, ხოლო სამაგიეროთ კოოპერატივს აღნიშნულ ფულის ანგარიშში მიეცემა საქონელი ცეკავშირისაგან.

ცეკავშირის გამგეობა

ნის. № 823—2—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

ქალაქის სადგური

და კომერციული სააგენტო ტფილისში

1924 წ. 6 იანვრიდან

გაიხსნა ახალ ბინაზე განოვის ქ. № 3.

სწარმოებს ოპერაციები ყველა მატარებლებზე ბილეთების გასასყიდათ; ბილეთები გაიცემა წერილობით ან ტელეფონით დაკვეთით, და გაიგზავნება შინ შიკრიკის ხელით.

მგზავრები, რომლებსაც სურთ მიიღონ ბილეთები პლაცკარტით ან უპლაცკარტოთ შინ მიტანით, ატყობინებენ ქალაქის სადგურს თავიანთ შიკრიკის საშუალებით ან ტელეფონით № 9—74 გამგზავრების დროს და დანიშნულების სადგურს.

ბილეთები გაეგზავნებათ ქალაქის სადგურის შიკრიკის ხელით დანიშნულ დროზე.

ბილეთების შინ მიტანისათვის დაწესებულია შემდეგი გადასახადი:

ადგილობრივ მგზავრობის ბილეთებისათვის—50 კ. ჩერვ.
პირდაპირი მგზავრობის „ —1 მან. ჩერვ.

შიკრიკს არ აქვს უფლება აიღოს რაიმე საჩუქარი, გარდა ანგარიშში აღნიშნულ თანხისა, რომელი ანგარიშიც გაიგზავნება ბილეთებთან ერთად.

კომერციული სააგენტო აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. საფრახტო და საკომერციო სესხის გაცემა.
2. კლიენტების მინდობილობით საქონლის ყიდვა და გაყიდვა.
3. საბარგო ავტომობილებით ტვირთების გადატანა რკ. გზ. სადგურზე და უკან.
4. ბარგის და ტვირთების გაგზავნა და გაცემა ფრახტის შეტანის ვადის გაგრძელებით ან საფრახტო კრედიტის გაცემით.
5. საბაჟო ფორმალობათა შესრულება (ბაჟის გადახდა, გასინჯვა და სხვ.).
6. მინდობილობით სპარსეთში ტვირთების გაგზავნა ბაქოსა და ბათომის ნავთსადგურებიდან.
7. მინდობილობით ტვირთების ოხმალეთში და ევროპაში გაგზავნა ბათომის ნავთსადგურიდან.
8. ოპერაციები ზედდებულ გადასახადებით სწარმოებს ინკასსო კლიენტის მინდობილობით.

ქალაქის სადგურები და კომერციული სააგენტოები არსებობენ: ქ. **მოსკოვში, ბათომში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, თელავში** და **ტფილისში.**

ნის. 821—3—1

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. ღარიბებს უფასოთ. 25—4

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ[illegible] სამმართველოს მახლობლად. 303—25—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

[illegible] შინდან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ქიქიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 126—25—18

სახალხო მოსამართლე ქ. ტფილისის მე-3 უბნისა

იწვევს არსენ გიორგობიანს აღნიშნულ უბნის სახალხო სასამართლოში 3 თვის მისამართის საჩვენებლად ერთი თვის განმავლობაში [illegible] ამ განცხადების გამოქვეყნებისა საქმეზედ **[illegible]** [illegible] გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსაწვევი უწყება მის სახელობაზედ დატოვებული იქნება სასამართლოს კანცელარიაში ჩაითვლება ჩაბარებულათ და თვით საქმე კი განხილულ იქნება მისდაუსწრებლად.

სახალხო მოსამართლე ნ. [illegible]

1—1 № 852.

[illegible] წულუკიძის ქუჩა №